ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**თბილისში, შარტავას ქუჩაზე, 16 წლის გოგონას ცხედარი იპოვეს**



გვ.7

22 ნოემბრიდან
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები
ონორე დე ბალზაკი
მამა გორიო
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



სამშაბათი, 22 ნოემბერი, 2016 | №277 (7202) | ფასი: 50 თეთრი

# ნიკა მელია: „პარლამენტში შესვლა არც მე მინდოდა“



გვ.3

„ივანიშვილთან ბრძოლას კომბინაციაში ვაპირებთ“



## გიორგი ვაშაძე: „მე და სააკაშვილი უკრაინაში სხვადასხვა მხარეს ვართ“



გვ.4





„დავით ბაქრაძე ნაციონალების ფორმალური ლიდერი იქნება“

## მრეწველებმა თავისუფალ დემოკრატებს ცესკოში ადგილი წაართვეს



თოფაძის პარტია 536.000 ლარს მიიღებს



გვ.2

## ია ანთაძე: „გიორგი ბარათაშვილმა ვერ შეძლო საზმაუწყებლის ლიდერად გადაქცევა“

„მისი გადადგომა ბუნდოვანია“



გვ.5

## რომელ კანონს არღვევს ვახტანგ აბაშიძე



გვ.5

## „მალე მთელი „ქართული ოცნება“ ივანიშვილის ვარცხნილობით ივლის“



გვ.3

გიორგი გუგავა: „ბევრი ხელისუფლება მოვინელეთ და ამათაც გავუშვებთ“

ISSN 1987-9385

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი უკრაინიდან გარემოცვის ნაწილს საქართველოში აგზავნის“



გვ.4

„პოლოლიკაშვილი სააკაშვილის კაცია“

## ლარი გაუფასურდა



გვ.6



გვ.6

## რომან გოცირიძე: „ფუფუნება ჩავაბაროთ წარსულს“

## „კოკატაური“ შეიძლება დაიხუროს



გვ.6

კომპანია თავის წარუმატებლობას „ბორჯომს“ და „ნაბეღლავს“ აბრალებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მრეწველებმა თავისუფალ დემოკრატებს ცესკოში ადგილი წაართვეს

## თოფაძის პარტია 536.000 ლარს მიიღებს

შორენა მარსაგიშვილი





გოგი თოფაძის პარტია სკანდალში ეხვევა. თავისუფალმა დემოკრატებმა მრეწველებს და „ქართულ ოცნებას“ შესაძლოა სასამართლოში უჩივლონ. სკანდალი ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ შექმნას მოჰყვა. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ეს ფრაქცია იმიტომ შეიქმნა, მრეწველებს ცესკოში ადგილი მიეღოთ.

თავიდან ეს ინფორმაცია „ოცნებამაც“ უარყო და მრეწველებმაც, მაგრამ 21 ნოემბერს ყველაფერი ნათელი გახდა.

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა შავგულიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, პარლამენტში ფრაქციის შექმნით, მრეწველები ბიუჯეტიდან 300 ათას ლარს მიიღებს.

შავგულიძის განმარტებით, აღნიშნულ თანხას დაემატება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან მისაღები დაფინანსება და მოხდება მათი შეკრება.

– საბოლოო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მრეწველები 536.000 ლარს მიიღებენ და ცესკოში თავის წევრს დანიშნავენ. იმის გამო, რომ დაფინანსებით მათ მრეწველებმა აჯობეს, თავისუფალი დემოკრატები ცესკოში ადგილს დაკარგავენ, – აღნიშნა შავგულიძემ.

თავისუფალი დემოკრატების აღმასრულებელი მდივანი თამარ კეკენაძე ვარაუდობს, რომ მთელი ეს მაქინაცია 2017 წელს დაგეგმილი თვითმართველობის არჩევნებს უკავშირდება.

მისი თქმით, „ოცნება“ ცდილობს, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის სრული კონტროლი განახორციელოს საარჩევნო ადმინისტრაციაზე.

– ხელისუფლებამ რეალურად ერთ ადამიანს, პრორუს სიმონ ნოზაძეს შეუქმნა ფრაქცია და შემდეგ უკვე კანონის დარღვევით აპირებენ, ამ ფრაქციას მისცენ დაფინანსება, მათი არსებული დაფინანსება და ფრაქციის მიერ მიღებული ახალი დაფინანსების შეკრების ჯამით მიიღონ უფრო მეტი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს იქნება იმაზე მეტი, ვიდრე თავისუფალი დემოკრატები ვიღებთ და რეალურად თავისუფალი დემოკრატები ვკარგავთ როგორც ცენტრალურ საარჩევნო, ისე ყველა კომისიაში ადგილს. ეს ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ ეყოლება კიდევ ერთი დამატებითი ხმა და კიდევ უფრო მეტად შეეძლება გააკონტროლოს უკვე არჩევნების დღე 2017 წელს, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში კეკენაძე.

პარტიის აღმასრულებელი მდივნის თქმით, ეს არის შორს მიმავალი განზრახვა, რომლის განხორციელებაც „ოცნებამ“ არჩევნების დღიდან დაიწყო.

მიზნის მისაღწევად ეტყობა ხელისუფლებამ ძალიან იჩქარა და ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გამოეპარა.

– მათ გზაში გამოეპარათ გარკვეული ლაფსუსები. როდესაც სიმონ ნოზაძე დარეგისტრირდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მას ეწერა უპარტიო და იყო ბლოკის „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ სახელით. უკვე პირველი ტურიდან მეორე ტურამდე, როდესაც გამოქვეყნდა შემაჯამებელი ოქმი, ამ ადამიანს უწერია, რომ მრეწველების წევრია. ეს მაშინ, როდესაც უკვე აღარავის ჰქონდა უფლება, რაიმე ცვლილება შეეტანა მონაცემებში, – ამბობს კეკენაძე.

ის იმედს იტოვებს, რომ ამ უკანონობას ცესკოს თავმჯდომარე გამოასწორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არასამთავრობოებთან ერთად აპირებენ სამართლის პოვნას.

– ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ სამწუხაროდ, თამარ ჟვანია მიიღებს ამ გადაწყვეტილებას და გამოაქვეყნებს განკარგულებას. ამიტომ ჩვენ უკვე დავიწყეთ შესაბამისი სარჩელის მომზადება, კონსულტაციები გვქონდა არასამთავრობო სექტორთან და ვაპირებთ, უკვე ერთობლივი სარჩელით გავასაჩივროთ ეს უკანონობა, – აღნიშნა თავისუფალი დემოკრატების აღმასრულებელმა მდივანმა.

თავისუფალი დემოკრატების ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ მეოცნებეები. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ არანაირი კანონი არ დარღვეულა.

– ეს არის ფრაქცია, რომელიც შეიქმნა არა მხოლოდ უპარტიო დეპუტატებისგან, არამედ იმ ადამიანებისგან, ვისაც აქვს შესაბამისი სულისკვეთება, არის პარტიული ნიშნით და არა სხვა რაიმე ნიშნით. თუკი მათ კანონი ანიჭებს უფლებას, ჰყავდეს წარმომადგენელი საარჩევნო კომისიაში და იყოს დაფინანსებული, ამასთან დაკავშირებით ვერაფერს ვერ შეცვლი – არც კანონის საწინააღმდეგოდ ხდება რამე და არც ამ ადამიანების პოლიტიკური ორიენტირების საწინააღმდეგოდ. ვერ ვხედავ, რაშია პრობლემა, – აღნიშნავს ვოლსკი.

იმ ლაფსუს კი, რომელიც თავისუფალმა დემოკრატებმა აღმოაჩინეს, ორიგინალურად განმარტავს.

მისი განმარტებით, სიმონ ნოზაძე წლების მანძილზე მუშაობდა ორგანოებში და ამის გამო მისი პარტიულობა დაუშვებელი იყო.

– მრეწველთა საარჩევნო ბლოკის სიაში სწორედ ამიტომაც არ იყოს პარტიის წევრად შესული. ცესკოს საბოლოო, შემაჯამებელ ოქმში ეს ადამიანი დარეგისტრირებული არის ისე, როგორც მან მიიღო არჩევნებში მონაწილეობა ანუ მრეწველთა პარტიიდან, – ამბობს ვიცე-სპიკერი.

განმარტებებს აკეთებს თავად სიმონ ნოზაძეც. მისი თქმით, არც მას და არც მრეწველებს კანონი არ დაურღვევიათ.

ამასთან დეპუტატი ადასტურებს, რომ მრეწველთა კოალიციის სიაში ის დეპუტატობის უპარტიო კანდიდატად იყო წარდგენილი.

– მე, როგორც მოქმედ ოფიცერს, 2016 წლის სექტემბრამდე პარტიაში შესვლის უფლება არ მქონდა. სექტემბრის დასაწყისში, როცა იყო პარტიის პოლიტსაბჭოს შეკრება, მე პარტიაში შესვლის შესახებ განვაცხადე და არჩევნების წინ პარტიის წევრი გავხდი, – აღნიშნა ნოზაძემ.

# ვახტანგ კაპანაძეს ვლადიმერ ჩაჩიბაია შეცვლის

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ახალი გენშტაბის უფროსი ეყოლება. ამ თანამდებობას გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია დაიკავებს.

ინფორმაცია მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ წინა კვირაში გავრცელდა. მაშინ ეს ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში კატეგორიულად უარყვეს. სამაგიეროდ განაცხადეს, რომ ვახტანგ კაპანაძეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა და მისი შემცვლელის მოძიება აქტიურად იყო დაწყებული.

კაპანაძის შემცვლელზე გუშინ, 21 ნოემბერს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უშიშროების საბჭოზე მსჯელობდნენ. სხდომას გენშტაბის მოქმედი და მომავალი ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

– შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე ვახტანგ კაპანაძეს ვლადიმერ ჩაჩიბაია შეცვლის, – განუცხადა ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

მისი თქმით, ცვლილება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ვახტანგ კაპანაძეს გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადა ამოეწურა.

ვადაამოწურული კაპანაძე მუშაობას ნატოში გააგრძელებს. ის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს წარმომადგენელი იქნება.

– მე ვარ სამხედრო მოსამსახურე და გავაგრძელებ ქვეყნის სამსახურში ყოფნას. არის შემოთავაზება, რომ ნატო-ში საქართველოს მთავარ სამხედრო წარმომადგენლად წავიდე. დარწმუნებული ვარ, ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებ, – განაცხადა კაპანაძემ ჟურნალისტებთან საუბარში და თანამშრომლობისთვის მათ მადლობაც გადაუხადა.





გენშტაბის ახალი უფროსი ვლადიმერ ჩაჩიბაია 21 ნოემბერს უკვე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს. გიორგი მარგველაშვილი მას დადებითად ახასიათებს. როგორც პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას ჩაჩიბაიასთან აქამდეც ჰქონია საქმიანი შეხვედრები.

ჩაჩიბაია ამ თანამდებობაზე უკვე მეორედ მიდის, პირველად ამ პოსტზე 2008 წლის ნოემბერში დაინიშნა. თუმცა თანამდებობა რამდენიმე თვეში 2009 წლის მარტში დატოვა.

როგორც ამბობენ, მან თანამდებობა ბაჩო ახალაიასთან დაპირისპირების გამო დატოვა, რომელსაც მაშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა და რეალურად ის იყო მინისტრი.

რამდენიმე წლის მანძილზე ის სამხედრო საქმეს ჩამოშორებული იყო. თავდაცვის სამინისტროში 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაბრუნდა.

მისი კანდიდატურა პრეზიდენტს დასამტკიცებლად დღეს, 22 ნოემბერს წარედგინება.

დღესვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კვირიკაშვილი მინისტრთა კაბინეტის მომავალ წევრებს წარადგენს. მინისტრთა კაბინეტის მომავალი წევრების წარდგენა მთავრობის ადმინისტრაციაში 14:00 საათზე გაიმართება. რის შემდეგაც მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

პარლამენტი თავის მხრივ ახალი მთავრობის დამტკიცებას მიმდინარე კვირაში შეეცდება.

კვირიკაშვილს მთავრობის შემადგენლობა გუშინ, 21 ნოემბერს უნდა გაემხილა, მაგრამ რატომღაც ეს ამბავი ერთი დღით გადადო. მიზეზები არ განუმარტავს, რასაც ბევრი ჭორი მოჰყვა.

„ქართული ოცნების“ წევრები ისე, რომ არ იცოდნენ ახალი შემადგენლობა, აცხადებდნენ, რომ აუცილებლად დაუჭერენ მთავრობას მხარს.

საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია პატრიოტთა ალიანსს. მათი ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ამბობს, რომ მათ შესაძლოა მხარი არ დაუჭირონ ახალი მთავრობის დამტკიცებას.

მთავრობის მიმართ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ ნაციონალებს. ისინი ამბობენ, რომ მისი დამტკიცების წინააღმდეგი იქნებიან.

– აქ არსებითი სიახლე არაფერია, მთავარია, რომ ივანიშვილის მთავრობა ჰყავს ქვეყანას და ეყოლება კიდევ და აქ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სწორედ ამიტომ არის ჩვენი ქვეყანა ხიფათის ქვეშ. ამიტომ ძლიერდება ის პრობლემები, რომელიც ქვეყანას აქვს და რომლის წინაშეც ქვეყანა დგას, ამიტომ იზრდება კრიმინალი, კორუფცია და ჩვენ გვყავს ადამიანი, რომელსაც ან საერთოდ არ აქვს ხედვა, ან აქვს მავნებლური ინიციატივები. ცვლილებებს ალბათ არ უნდა ველოდოთ მთავრობაში, ან შესაძლოა ივანიშვილმა კიდევ უფრო მეტად არაკომპეტენტური მინისტრი წარმოგვიდგინოს ამა თუ იმ დარგში, ვიდრე დღეს არის, ან იმაზე ნაკლებად კომპეტენტური, ვიდრე არის. ჩვენი ვალია ყველაფერი გავაკეთოთ, მათ შორის პარლამენტის ტრიბუნიდან, რომ მათი მავნებლობა შევაჩეროთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ბოკერიამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა მელია: „პარლამენტში შესვლა არც მე მინდოდა“

## „ივანიშვილთან ბრძოლას კომბინაციაში ვაპირებთ“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი **ნიკა მელია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარტიის ყრილობა ჩატარდება.

***— ბატონო ნიკა, მიხეილ სააკაშვილის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შევიდა. პირველივე სხდომაზე გამოჩნდა, რომ ურთიერთობა დაიძაბა, როგორი იქნება თქვენი სტრატეგია, აპირებთ იყოთ კონსტრუქციული თუ პირიქით?***

— რა თქმა უნდა, ვაპირებ, კონსტრუქციული ვიყო, სხვანაირად როგორ შეიძლება. მართლაც ძალიან დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო როგორც ნაციონალური მოძრაობის გუნდის შიგნით, ასევე მის მხარდამჭერებს შორის. მე თავდაპირველად მივეკუთვნებოდი იმ ნაწილს, რომლებიც პარლამენტში შესვლის წინააღმდეგნი იყვნენ.

***— რა შეიცვალა?***

— მას შემდეგ, რაც ემოციები გვერდით გადავდეთ და პრაგმატულ მსჯელობას ცივი გონებით შევუდექით, ბუნებრივია, ივანიშვილის რეჟიმთან წინააღმდეგ ბრძოლაში როდესაც ხარ შესული, არ შეიძლება, არც ერთი აქტიური პოლიტიკური არენის უყურადღებოდ დატოვება და უგულებელყოფა.

პარლამენტი არის ის პოლიტიკური არენა, რომელიც აუცილებლად უნდა აითვისოს ისეთმა კვალიფიციურმა პოლიტიკურმა ძალამ, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა. ჩვენ პარლამენტში „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად უნდა შევავიწროოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზრი პარლამენტის შიგნითაც ჩამოვაყალიბოთ ისეთი, როგორიც არის გარეთ.

ბუნებრივია, მხოლოდ ამ პოლიტიკური არენის გამოყენებას არ ვაპირებთ, ივანიშვილის რეჟიმთან ბრძოლა მხოლოდ პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან და საკომიტეტო სხდომებიდან ძალიან რთული იქნება.

***— რას აპირებთ?***

— ყველა კონსტიტუციური და დემოკრატიული მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული, რათა ივანიშვილის ოლიგარქიული წესწყობილება ჩამოვშალოთ. ვიღაცისთვის ჩემი ეს შეფასება შეიძლება ძალიან ყურისმომჭრელი იყოს, მაგრამ ასეა.

***— რაში გამოიხატება კონკრეტულად, შეგიძლიათ გვითხრათ?***

— ქვეყანას ჰყავს ერთი ძალიან მდიდარი ადამიანი, რომელიც ყველაფერს მართავს. მაგალითად, პარლამენტის ახალი თავმჯდომარე არჩეულია მხოლოდ იმიტომ, რომ ის იქნება მორჩილი.

***— არ გაქვთ მოლოდინი, რომ კობახიძემ შეიძლება დაამტკიცოს, რომ ის არავის აზრის გატარებას არ აპირებს?***

— ეს შეუძლებელია. „ქართული ოცნების“ წარსადგენი კანდიდატი რომ ყოფილიყო ბატონი კობახიძე, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა კანდიდატს დაასახელებდა. ეს ადამიანები ანგარიშვალდებულად გრძნობენ თავს ბიძინა ივანიშვილთან და ასეც იქცევიან, თავიანთ გამოსვლებს მადლობით იწყებენ და ასრულებენ.

***— ბატონო ნიკა, გექნებათ საკანონმდებლო ინიციატივები, კანონპროექტები?***

— რა თქმა უნდა. ჩვენს ქვეყანას ძალიან მძიმე გამოწვევები აქვს თავდაცვისუნარიანობის, ეკონომიკის მიმართულებით, საჭირო არის დიდი სიფხიზლე, პარლამენტი არის ის ადგილი, საიდანაც აუცილებელია საზედამხედველო ფუნქციის აღება კანონშემოქმედებითობასთან ერთად. თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც ერთი ჩვენი კანონპროექტი, როგორც ოპოზიციური პოლიტიკური გუნდის, ხორცს ვერ შეისხამს და კანონად ვერ იქცევა.

რამდენიმე ადამიანს მინდა გამოვეხმაურო, რომელთა პოზიციაა — რა აზრი აქვს შენს პარლამენტში ყოფნას, თუ კანონპროექტს კანონად ვერ აქცევ. ამ ლოგიკით არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია, როგორც ასეთი, არ უნდა არსებობდეს. ყველა ევროპულ ქვეყანაში, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ოპოზიცია არის იმ ვითარებაში, რა ვითარებაშიც ვიქნებით ჩვენ აქ, პარლამენტში, მაგრამ ჩვენ ივანიშვილთან ბრძოლას კომბინაციაში ვაპირებთ.



***— ქუჩის აქციებთან?***

— საპარლამენტო სხდომების პარალელურად გვექნება კომბინაციაში ქუჩის აქციებიც.

***— სააკაშვილმა განაცხადა, პარტიულ აქტივს ჰკითხონ, ვუნდივართ თუ არა თავმჯდომარის პოსტზეო და იქვე განმარტა, რომ თავმჯდომარეობა ძალიან პირობითია. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— ის, რაც ნაციონალურ მოძრაობაში ხდება, დამერწმუნეთ, წინგადადგმული ნაბიჯია ზოგადად საქართველოში, მის მთელ პოლიტიკურ სპექტრში. ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი პოლიტიკური პარტიები არ არიან შეჩვეული იმას, რომ გუნდში იყოს აზრთა სხვადასხვაობა, თუნდაც მწვავე დისკუსია პოლიტიკური პარტიების შიგნით. ცხადია, ეს უკვირს „ქართულ ოცნებას“. რას გადაწყვეტს ნაციონალური მოძრაობის ფართო წარმომადგენლობით აქტივი, რა თქმა უნდა, ეს მათი გადასაწყვეტი იქნება.

***— პარტიის ყრილობა იქნება?***

— დიახ, ყრილობა იქნება. რა საკითხები გავა ყრილობაზე, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, რადგან მანამდე პოლიტიკური საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს, მაგრამ მაღალი ალბათობით ყრილობა ჩატარდება, სადაც შესაძლებელია არჩეულ იქნას თავმჯდომარე, ასევე შესაძლებელია, არ იქნას. თავმჯდომარე არის წარმომადგენლობითი თანამდებობა. პარტიაში ე.წ. ელექტორალური სახე.

***— თქვენ რას უჭერთ მხარს, რომ აირჩეს თავმჯდომარე თუ არ აირჩეს?***

— მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ თავმჯდომარე იქნას არჩეული, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი აქტივის დიდი ნაწილი, ანუ უმრავლესობა, რომელზეც დგას ნაციონალური მოძრაობა, გადაწყვეტს, რომ ის წინააღმდეგია, მაშინ ძალაში დარჩება ის სტატუსკვო, რომელიც არის. პარალელურად პარტიის მთავარი ორგანო — პოლიტიკური საბჭოც უნდა იქნას არჩეული, რომლითაც იმართება ნაციონალური მოძრაობა. ამდენად, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი არის ნაციონალური მოძრაობის ცხოვრებაში.

***— ბაქრაძე თუ სააკაშვილი — ასე რომ დადგეს საკითხი?***

— სამწუხაროდ, სააკაშვილს არ აქვს კენჭისყრის საშუალება. თორემ სააკაშვილი რომ იყოს ქვეყანაში, დამერწმუნეთ, ის იქნებოდა უალტერნატივო პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

# „მალე მთელი „ქართული ოცნება“ ივანიშვილის ვარცხნილობით ივლის“

## გიორგი გუგავა: „ბევრი ხელისუფლება მოვინელეთ და ამათაც გავუშვებთ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ კიდებენ დეპუტატები მანქანებში ბიძინა ივანიშვილის ფოტოებს, რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ „ქართული ოცნებისგან“, რატომ არავინ აპროტესტებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემებს, რას გეგმავენ ლეიბორისტები? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** ესაუბრება.

***— ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ოცნების“ ერთ-ერთი დეპუტატს მანქანაში ბიძინა ივანიშვილის ფოტო უკიდია. მისი აზრით, კარგი იქნება თუ სხვა დეპუტატებიც დაიკიდებენ ასეთ ფოტოებს. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

— ადამიანის მონური სულის გამოვლინებაზე მიუთითებს, როდესაც ისინი აღმერთებენ ისეთ პერსონას, რომელსაც დიდი ფული და დიდი ძალაუფლება გააჩნია. მონური დამოკიდებულების გამოვლენით მავანი ცდილობს, საკუთარი კარიერა აიწყოს და ფული იშოვოს.





არ გამიკვირდება, თუ „ქართული ოცნების“ წევრები ბელადის სურათს საძინებელ და მისაღებ ოთახებშიც ჩამოკიდებენ. არც ის გამიკვირდება, ყოველ 3 საათში ერთხელ ივანიშვილის სადიდებელი ლოცვა რომ აღავლინონ. ქოცებს რომ ვუყურებ, ეგრევე დათა თუთაშხიას პერსონაჟები წარმომიდგებიან თვალწინ, რომლებიც არქიფო სეთურის პოლიქრონიონს აღავლენენ ხოლმე.

სამწუხაროა, რომ დღეს ასეთი ადამიანები ხელისუფლების სათავეში არიან. ისინი მზად არიან, ვიღაცას მონებად მიეყიდონ. მინდა ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მონური სულის ადამიანები ვერც სახელმწიფოს ააშენებენ და ვერც ქვეყნის მომავალს შექმნიან. ისინი ძალიან საშიშები არიან. ეს ის კატეგორიის ხალხია, რომლებიც აქამდე მიშა სააკაშვილს აღმერთებდნენ. ბევრი მათგანი სკამზე ხტებოდა და ისე სვამდა ყოფილი პრეზიდენტის სადღეგრძელოს. ამ ხალხის ყველაზე მეტად თავად ივანიშვილს უნდა ეშინოდეს.

***— ივანიშვილს რატომ უნდა ეშინოდეს?***

— იმიტომ, რომ ეს მონები ხვალ სხვის ქებას დაიწყებენ. ივანიშვილზე პირველები ეგენი აღმართავენ მახვილს.

***— თქვენი აზრით, ივანიშვილს მოსწონს, როცა მის მიმართ ასეთ მონურ დამოკიდებულებას იჩენენ? წესით არ უნდა იყოს იმით აღფრთოვანებული, რომელიღაც დეპუტატს მისი ფოტო რომ უკიდია მანქანაში.***

— წესით, არ უნდა მოსწონდეს, მაგრამ რაკი მისი გუნდის წევრები მის ფოტოებს იკიდებენ, გამოდის, რომ მოსწონს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ რამეს არავინ გააკეთებდა.

მიკვირს, რატომ ატყდა ამ დაკიდებაზე ერთი ამბავი, რამდენი ხანია, ზოგიერთი ქვემძრომი ივანიშვილს ილიას რომ ადარებს. ზოგიერთმა კი ის ლამის ღმერთადაც გამოაცხადა. რაც არ უნდა ბევრი ფული და დიდი ძალაუფლება ჰქონდეს, ადამიანი მაინც პატარაა და უმეტესობას ასეთი რამეები სიამოვნებს. ასეთი რამე ივანიშვილის კორპორაციაში რომ გაეკეთებინათ, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ როცა ამას დეპუტატი აკეთებს, ეს უკვე ერის ტრაგედიაა.

არ გამოვრიცხავ, ხვალ მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი ვარცხნილობა გაიკეთოს, როგორც ივანიშვილს აქვს. მართალია, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ევროპისკენ მივდივართ, მაგრამ სინამდვილეში ჩრდილოეთ კორეისკენ გვაქვს გეზი აღებული.

***— მონური ხელისუფლების მქონე ადამიანები რომ ხელისუფლებაში არიან, ეს ერის ტრაგედიააო, ამბობთ და არა მგონია, ეს იმაზე დიდი ტრაგედია იყოს, რაც იუნისეფის კვლევით დადგინდა. გაეროს განცხადებით, საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის. ამაზე რატომ არ ხდება არანაირი რეაგირება პოლიტიკოსების მხრიდან? ამგვარი საკითხების მიმართ დიდ ინტერესს არც საზოგადოება იჩენს.***

— ბოლო წლებში საზოგადოების დიდი ნაწილი ქუჩაში იდგა და იქ იცავდა საკუთარ უფლებებს. ამან ხალხი გამოფიტა და დაღალა, თუმცა ეს დუმილის გასამართლებელ არგუმენტად არ გამოდგება. ჩვენ ასეთი ინერტულობით მივიღეთ მმართველობის ყველაზე მახინჯი ფორმა.

თქვენ მკითხეთ, რატომ დუმან ამ ყველაფერზე პარტიებიო და ყველა არ დუმს. ჩვენ ასეთ საკითხებზე გამუდმებით ვრეაგირებთ. დოსტოევსკის აქვს ასეთი რამე ნათქვამი, მთელი სამყარო ბავშვის ერთ ცრემლადაც არ ღირსო. ამ დროს ჩვენთან ბავშვებთან დაკავშირებით სასწაულები ხდება. ათეულობით ათასი ბავშვი შიმშილობს. ყოველწლიურად 300 ბავშვი იღუპება არასათანადო კვების გამო.

ბავშვებს თუ დააკვირდებით, მათ თვალებში სიხარულს ვეღარ ნახავთ. ბავშვებს, რომლებსაც წაართვეს ბავშვობა, წართმეული აქვს მომავალიც. სანამ ასე იქნება, არა გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ შემდგარი სახელმწიფო ვართ. სანამ ქვეყნის სათავეში მილიონერთა კლუბი იქნება, არაფერი გვეშველება.

ოლიგარქიული მმართველობა საქართველოში წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. აპოგეას ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიაღწია.

***— ქვეყანაში ასეთი სიტუაცია რომ არის, ეს თავად ოპოზიციის ბრალიც ხომ არ არის? არჩევნების შემდეგ რამდენიმე პარტია დაიშალა, ზოგიერთ პარტიას ლიდერი გაექცა.***

— ეს ამ პარტიების უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს. ბევრი მათგანი ივანიშვილმა იყიდა. ოლიგარქმა პოლიტიკური ველი მოასუფთავა და ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც წყალში მისი ზვიგენი. პირობას ვაძლევ, რომ დიდხანს ასე არ გაგრძელდება. ჩვენმა პარტიამ ბევრი ხელისუფლება მოინელა და ამათაც გავუშვებთ. ბევრი მათგანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდება. ხალხი, მართალია, დაღლილი და იმედგაცრუებულია, მაგრამ დგება მომენტები, როდესაც ვეღარავის გააჩერებ.

***— ეს მომენტი როდის დადგება?***

— ეს მომენტი უკვე დამდგარია, მაგრამ ხალხი ჯერ მდგომარეობიდან არ გამოსულა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მათ გამოსაფხიზლებლად. წესით, ჩვენ არც უნდა დაგველოდონ, საქართველო ისედაც მომაკვდავი ერების ჩამონათვალშია შესული. ასეთ დროს იგებ, რომ აქ ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ქვემოთ ცხოვრობს, ძნელია, გაჩუმდე. გამოდის, რომ ხელისუფლება საკუთარ ხალხს გენოციდს უწყობს.

გგონიათ. ხელისუფლებას რესურსი არ აქვს. რომ ბავშვებს მიხედოს? ამის რესურსი აქვთ, მაგრამ ამ რესურსებს თავიანთი ფუფუნებისთვის იყენებენ. ბავშვები კი არავის ადარდებს. სამაგიეროდ, თავიანთი ბავშვები ჰყავთ ფუფუნებაში. სხვა ბავშვებისთვის წართმეული ფულით აგზავნიან საზღვარგარეთ სასწავლებლად. მერე ჩამოიყვანენ და მათ გადააბარებენ ხელისუფლებას.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი ვაშაძე: „მე და სააკაშვილი უკრაინაში სხვადასხვა მხარეს ვართ“

## „დავით ბაქრაძე ნაციონალების ფორმალური ლიდერი იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი, **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, გასულ კვირას ხშირად ახსენეს თქვენი გვარი სააკაშვილის განცხადებებიდან გამომდინარე, როდესაც მან თქვა, რომ გირჩი და ვაშაძე ბიძინა ივანიშვილმა იყიდა. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე?***

– ეს არის სრულიად არაადეკვატური შეფასება იმ პრობლემებისა, რაც არის ნაციონალურ მოძრაობაში. ჩემ წამოსვლამდეც და მანამდეც არაერთხელ მქონია საუბარი მიხეილ სააკაშვილთან პრობლემებზე, მათ შორის ჩემი პროგნოზი იყო, რომ ის ჯგუფი, ვინც ახლა არაფორმალურად მართავს ნაციონალურ მოძრაობას, შეეცდებოდა მიხეილ სააკაშვილის ბოლომდე დისტანცირებას ნაციონალური მოძრაობიდან. ეს გარკვეულწილად მოახერხეს უკვე.

***– ანუ დღეს ნაციონალურ მოძრაობაში არაფორმალური მმართველობაა?***

– დიახ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კულუარული მმართველობა. ამ ჯგუფმა შეძლო და გვერდზე გაწია სააკაშვილი. ფაქტობრივად, ვინც პარლამენტში გავიდა, ამ გზიდან არც ერთი ადამიანი არ აღმოჩნდა, ვინც მიხეილ სააკაშვილის პოზიციას დაიცავდა. რაიონულ ორგანიზაციებში შესაძლოა ბევრი მხარდამჭერი ჰყავს მას, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამ ჯგუფმა მოახერხა, სია დაეკომპლექტებინა ისე, როგორც თვითონ უნდოდა. ანუ პარლამენტში შესულიყვნენ ის ადამიანები, ვისაც სურვილი აქვს, რომ გაემიჯნონ მიხეილ სააკაშვილს.

***– საბოლოოდ დაკარგავს მიხეილ სააკაშვილი პოზიციებს პარტიაში?***

– მე ვფიქრობ, რომ მას უკვე დაკარგული აქვს პოზიციები. მომავალში რა ფორმას მიიღებს ეს ყველაფერი, ეს მეორე საკითხია, თუმცა ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. ერთადერთი ჩემთვის ძალიან კარგია, რომ ამ უნიჭო პროცესში არ მიწევს მონაწილეობის მიღება.

***– რატომ გიწოდათ სააკაშვილმა ივანიშვილზე მიყიდული?***

– ეს არასწორი შეფასებაა, მას სხვა არგუმენტი არ ჰქონდა. თუ ვინმეს დაუწერია და წერილობით წარუდგენია ნაციონალური მოძრაობის რეორგანიზაციის გეგმა, ეს მხოლოდ მე ვიყავი ჩემს თანაგუნდელებთან ერთად. ეს მიხეილ სააკაშვილმაც კარგად იცის. სამწუხაროდ, მას ჩემთვის ღიად არასდროს მხარი არ დაუჭერია იმ ცვლილებებსა და იმ რეორგანიზაციის გეგმაში, რასაც მე წარვადგენდი.

***– ისე ჩანდა შორიდან, რომ თქვენ ძალიან ახლო და კარგი ურთიერთობა გქონდათ. ასე არ ყოფილა?***



– ფარულად თითქოს მხარს მიჭერდა. ფარულად რა, ინდივიდუალურ საუბრებში, თუმცა ეს საკმარისი სულაც არ იყო. ამიტომაც წამოვედი, რადგან აზრი არ ჰქონდა ამ პროცესებში მონაწილეობას. ის წლები ჩემთვის იყო შიგნით ნერვების შლა და გარეთ რაღაცა ემოციებისგან დაცლა, როცა შენ თვითონ არ გჯერა იმ გუნდის და იმ პროცესების, რომლებიც შიგნით მიდის. დღეს მე ახალი შესაძლებლობები მაქვს და ბევრ საინტერესო საქმესაც გავაკეთებ.

***– სააკაშვილმა უკვე გააცნობიერა, რომ პოზიციები დაკარგა პარტიაში?***

– მე ვფიქრობ, რომ კი.

***– რა პროცესები დაიწყება ახლა? საუბარია, რომ ლიდერად ბაქრაძის კანდიდატურას წარადგენენ, რეალური მმართველი კი გიგა ბოკერიაა.***

– არაფერი ახალი არ მოხდება. ნაცმოძრაობა უფრო ჩაიკეტება. იქნება ჩვეულებრივი ჩაკეტილი პოლიტიკური პარტია. იმიტომ, რომ იმ პოლიტიკურ პირებს, რომლებიც ახლა მართავენ ნაციონალურ მოძრაობას, სრულებით არ სჭირდებათ გახსნილობა. მათ სჭირდებათ მხოლოდ კონტროლირებადი გახსნილობა. თვითონ რომ აკონტროლებდნენ ამ პროცესს.

***– სანამ პარტიაში იყავით და შიდა პროცესებს აკვირდებოდით, თავიდანვე ასე ღიად იყო დაპირისპირება ბოკერიასა და სააკაშვილის ფრთას შორის?***

– მეტ-ნაკლებად. ეს ხან უფრო ფარული პროცესი იყო, ფარული დინებები მიმდინარეობდა, ღია დაპირისპირება არ ყოფილა. ბოკერიას ყოველთვის ჰქონდა სურვილი, რომ რაღაცნაირად დისტანცირება მოეხდინათ მიშასგან.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ბოკერიასთვის მიშა არის პრობლემა, რადგან მიშას პირობებში ის არ იქნებოდა არც გადაწყვეტილების მიმღები, არც გავლენიანი ფიგურა, ის იქნება ჩვეულებრივი, ერთ-ერთი, ვისაც სიტყვა ეთქმოდა, მაგრამ არა გადაწყვეტილების მიმღები. ბაქრაძის პირობებში კი ჩავთვალოთ, რომ ბოკერია იღებს ყველა გადაწყვეტილებას.

***– რატომ, ბაქრაძე ფორმალური ფიგურაა?***

– ბაქრაძეს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს, ჰქონდა ფასადის ფუნქცია. ბაქრაძის გაკეთებული არავის არაფერი უნახავს.

***– გაფუჭებული?***

– გაფუჭებული ასე ღიად არავის ახსოვს და დღეს ამიტომ არის მისი რეიტინგი. თუმცა ის ყველაზე მეტად არის პასუხისმგებელი, რომ მისი პარლამენტის სპიკერობის პერიოდში ვერ მოხდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის ძალაუფლების დაბალანსება. უბრალოდ, ჩრდილში ყოფნის სტრატეგიიდან გამომდინარე, მისი სტრატეგიაა, რომ არასდროს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აეღო.

***– მხარდამჭერთა ძალიან დიდი ნაწილი, ის მუხტი, რაც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა, სწორედ მიხეილ სააკაშვილს მოჰქონდა. რა იქნება ბაქრაძის პირობებში?***

– რა თქმა უნდა, მხარდამჭერთა დიდი ნაწილი სწორედ სააკაშვილის დამსახურება იყო. ფაქტია ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილის აქტიურობა ამ ჯგუფმა გამოიყენა იმისთვის, რომ ძალების მობილიზება მოეხდინათ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, დავით ბაქრაძის თავმჯდომარედ არჩევა ნაციონალური მოძრაობისთვის კატასტროფა იქნება. ნელ-ნელა აუცილებლად მოხდება მხარდამჭერების ჩამოშლა. თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორი პროცესები წავა და რა მდგომარეობა იქნება.

ბოკერია-ბაქრაძე შეეცდებიან, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანონ და ახალი თავმჯდომარე აირჩიონ. სააკაშვილს საქმე ისე წაუვიდა, იხვეწება, რომ არ ჩამოაშორონ პარტიას, თუმცა ეს უკვე შეუქცევადი პროცესია.

***– უკრაინაშიც სერიოზულად შეერყა პოზიციები მიხეილ სააკაშვილს. დადგება მისი პასუხისგებაში მიცემის საკითხი?***

– სააკაშვილი ოპოზიციაში წავიდა უკრაინაში. პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი დადგება თუ არა, ნამდვილად არ ვიცი. უნდა, რომ შექმნას ოპოზიციური პოლიტიკური პარტია. რამდენად გამოუვა, ამას დრო გვიჩვენებს. მეც ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას უკრაინაში, ვთანამშრომლობ დღევანდელ ხელისუფლებასთან და საკმაოდ საინტერესო რეფორმებს ვაკეთებთ. იუსტიციის სახლიც გავხსენით კიევში. ეს ითვლება საუკეთესო რეფორმად უკრაინაში. კიდევ ბევრ ძალიან საინტერესო პროექტს ვაკეთებთ.

***– დღეს თქვენ და სააკაშვილი სხვადასხვა მხარეს ხართ უკრაინაშიც?***

– დიახ, ასეა. მოვიაზრებოდით ერთ გუნდად, თუმცა მე ჩემი პროექტები მქონდა ყოველთვის უკრაინაში. ახლა სხვადასხვა მხარე ვართ.

***– ბატონო გიორგი, ახალმა პარლამენტმა უკვე დაიწყო მუშაობა, როგორი ოთხი წელი გველის?***

– მთავარი პრობლემა არის ის, რომ ახალი იდეები ხელისუფლებისგან არ მოდის. ეკონომიკა რამ უნდა გაზარდოს? ამ სიტუაციაში სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ვერ მივიღებთ. ჩვენ გვექნება 2-3%-იანი ზრდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში იქნება სტაბილური მდგომარეობა. ანაკლიის პროექტი, რომელზეც მეც აქტიურად ვმუშაობდი, გააფუჭეს, რადგან ცალკე გამოყვეს პორტის პროექტი და ბუნდოვანია, რას აპირებენ. არსად არაფერი ახალი არ ხდება. ასე ქვეყანა წინ ვერ წაიწევს.

***– პრემიერი ახალ მინისტრთა კაბინეტს წარადგენს. ეს რამდენად იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, ახალი სისხლის გადასხმა რამდენად გვიშველის?***

– მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მთავრობაში არ ხდება. მნიშვნელოვანი ცვლილებები როცა არ ხდება, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი თითქოს კარგად არის, მაგრამ რეალურად ასე არ არის. მხოლოდ მიკრო ცვლილებით შემოიფარგლებიან, მხოლოდ სამი-ოთხი მინისტრი იცვლება. ეს არასწორია, ეს ახალ სისხლს ვერ გააჩენს! ახალს ვერაფერს შემოიტანს. სიახლეებს სჭირდება ახალი გუნდი, რომელიც ახალი იდეებით მოვა. როგორც ჩანს, ასეთი გუნდი ვერ მოიძია პრემიერმა და ისევ ძველ გუნდზე აკეთებს აქცენტს. ამიტომ ახალს არაფერს უნდა ველოდოთ.

# მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი უკრაინიდან გარემოცვის ნაწილს საქართველოში აგზავნის“

## „პოლოლიკაშვილი სააკაშვილის კაცია“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს სააკაშვილის ახალ გეგმებზე, რომლებიც ეხება ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას

**მირიან მირიანაშვილი:**

– ხალხმა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე ხმა მისცა იმის იმედით, რომ აღარ განმეორდებოდა ავადსახსენებელი კოაბიტაცია და მოხდებოდა სამართლიანობის დამყარება სხვადასხვა მიმართულებით. ძალიან სამწუხაროა, რომ ამის ნიშნები არ ჩანს. სამაგიეროდ, იკვეთება ახალი კოაბიტაცია. მას შეიძლება ვუწოდოთ კოაბიტაცია-2.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლად წარდგენილია ყოფილი მინისტრი და ელჩი ზურაბ პოლოლიკაშვილი. გარდა იმისა, რომ თავად ის მსახურობდა სააკაშვილის ხელისუფლებაში, ყოფილ პრეზიდენტთან მჭიდროდაა დაკავშირებული მისი მამა, გიორგი პოლოლიკაშვილიც. თავის დროზე, როცა სააკაშვილმა დაიწყო მთელი სააფთიაქო ბიზნესის ხელში ჩაგდება, გიორგი პოლოლიკაშვილი, როგორც მენეჯერი, მას ეხმარებოდა ამ ბიზნესის აწყობაში. პოლოლიკაშვილების ოჯახი ახლაც სააკაშვილთან კავშირშია, სააფთიაქო ბიზნესი კი მონაწილეობს რუსთავი-2-ის დაფინანსებაში.

***– რუსთავი 2 ახსენეთ. მის გარშემო დავა გაფართოვდა.***

– თუ რუსთავი 2-ის საქმეზე მტყუან-მართლის გარკვევა უნდოდათ, გაუგებარია, რატომ მოაწყვეს ამხელა პაუზა? თუნდაც, 8 ოქტომბრის შემდეგ არ შეიძლებოდა საქმის განხილვა? ეს დრო საუკეთესო იქნებოდა სიმართლის დასადგენად. ის, რაც ხდება, ემსახურება ნაცმოძრაობის გაძლიერებას.

***– თქვენ რა ახსნას უძებნით ამ ყველაფერს?***

– ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, სააკაშვილისა და მისი პარტიის პოლიტიკური გარდაცვალების ტვირთი აჰკიდოს უკრაინას. ერთი შეხედვით, ეს მიმზიდველია, მაგრამ, მეორე მხრივ, იკარგება დრო, რომელიც გამოდგებოდა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურად დამარცხებისათვის.

***– სააკაშვილის პოლიტიკურ გარდაცვალებას უკრაინაშიც ელიან?***

– უკრაინაში სააკაშვილს სახარბიელოდ არ აქვს საქმე. მიუხედავად ამისა, ის მაინც ცდილობს ახალი პარტიის შექმნას. ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან ექსპრეზიდენტი გადააყენეს. თუმცა, თავად სააკაშვილმა საკუთარი ნებით წასვლის ხმაურიანი სცენა გაითამაშა.

### „ოდესის გუბერნატორი თავისით არ გადამდგარა. ის გადააყენეს“

მთავრობის სხდომას, რომელმაც სააკაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა, თავად ოდესის გუბერნატორი არ დაასწრეს. სააკაშვილს საშვიც არ გამოუწერეს. არადა, ჯგუფთან ერთად იგი მთავრობის შენობის კართან იდგა და საშვებს მოითხოვდა. ამის დამადასტურებელი ფოტოებიც არსებობს უკრაინაში. სააკაშვილი აპირებდა, მთავრობის სხდომაზე მოეწყო ჩვეული სკანდალი, მაგრამ მას ამის ნება არ მისცეს. მანამდე ოდესის ოლქის ადმინისტრაციის შენობაში მან დესანტი, ანუ უკრაინაში წასული აქაურები შეკრიბა.

***– რა მიზნით?***

– ნაწილს დაევალა მონაწილეობა ახალი პარტიის ფორმირებაში. მისი სათავო ოფისი კიევში იქნება. თავად სააკაშვილი კიევში აპირებს გადაბარგებას. გუნდის ნაწილი მან საქართველოში მოავლინა. სააკაშვილი ყველანაირად ცდილობს უკრაინაში ამერიკის ელჩთან დალაპარაკებას, მაგრამ მას კომუნიკაციის საშუალება არ ეძლევა. მას სჭირდება იმის ჩვენება, თითქოს ახალი პარტია აშშ-სთან შეთანხმებით იქმნება.



***– საქართველოში რატომ აგზავნის დესანტს?***

– ნაციონალური მოძრაობის გასაძლიერებლად. სააკაშვილმა ამ ადამიანებს ასე მიმართა – ივანიშვილი გვირაბს თხრის ნაცმოძრაობის ქვეშ და ეს გვირაბი უნდა ამოვქოლოთ. იქ თანამდებობებზე მომუშავე ქართველებს ისევ არ აქვთ მოხსნილი საქართველოს მოქალაქეობა. ესე იგი, თავიდანვე დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა.

***– ამას უკრაინის კანონმდებლობაც კრძალავს.***

– აქამდე მათ იმუშავეს და სააკაშვილის წახალისებით უკრაინაში დიდი ფულიც იშოვეს. ზოგმა ძალოვან უწყებებში, ზოგმა მიწის კადასტრში და სხვა. სააკაშვილი მათ ნაწილს საქართველოში უშვებს. მათ ფინანსურად და სხვა მხრივაც უნდა გააძლიერონ სააკაშვილის ფრთა ნაცმოძრაობაში. არ მესმის, რატომ წაუყრუა ამას ხელისუფლებამ.

***– იქნებ ინფორმაცია არ გააჩნიათ?***

– სპეცსამსახურებს ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა ჰქონდეთ. გაუგებარია, რატომ უყურებენ ამას გულხელდაკრეფილი! უკრაინაში არსებული სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ შესაბამისი სამსახურები დაინტერესდნენ ლორთქიფანიძის, საყვარელიძისა და სააკაშვილის გარემოცვის სხვა წევრების უკანონო საქმიანობით. მოსალოდნელია, რომ მათზე სისხლის საქმეები აღიძრას.

ისინი აპირებენ საქართველოში დაბრუნებას. თუ ჩამოვლენ და რაიმე დაბრკოლება დახვდებათ, იგეგმება ნაციონალების პროტესტი. იმედია, ხელისუფლება არეულობას მაინც არ დაუშვებს.

# ია ანთაძე: „გიორგი ბარათაშვილმა ვერ შეძლო საზმაუწყებლის ლიდერად გადაქცევა“

## „მისი გადადგომა ბუნდოვანია“

ნონა ცაბაძე

აქამდე თუ კულუარებში საუბრობდნენ მედიაში განსახორციელებელ ცვლილებებსა და ზეწოლაზე, ახლა ამ საკითხზე უკვე ხმამაღალი განცხადებები კეთდება. რა ცვლილებებს უნდა ელოდეს საზოგადოება? „ახალი თაობის“ კითხვებს მედიაექსპერტი **ია ანთაძე** პასუხობს.

***– ია, რა პროცესები დაიწყო საზოგადოებრივ მაუწყებელზე? საუბარია, აიძულეს ბარათაშვილი, რომ წასულიყო.***

– გიორგი ბარათაშვილი ძალიან ბრძოლისუნარიანია. როდესაც მისი სურვილის გარეშე იყო მცდელობა, რომ გადაეყენებინათ თანამდებობიდან, მან სასამართლოში იჩივლა, იბრძოლა და დაბრუნდა თავის ადგილზე. ამიტომ მე არ მესმის, რატომ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ასე უბრძოლველად დაეტოვებინა ეს ადგილი, თუ მას თვითონ არ ჰქონდა სურვილი, რომ წასულიყო. მე არ მგონია, რომ კიდევ თავიდან ვინმეს გაებედა მისი გაშვება. ამიტომ ვერ დავადასტურებ იმას, რომ ეს ადამიანი გაუშვეს მისი სურვილის გარეშე.

***– მაშინ რა მოხდა, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება?***

– ალბათ თვითონ უნდა თქვას, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ერთ რამეში გეთანხმებით, რომ ის მოტივაცია, რაც მე წავიკითხე, ჩემთვისაც არ იყო დამაჯერებელი, რატომ მოუნდა მაინცდამაინც ახლა წასვლა?! მით უმეტეს, იქ იგეგმება ძალიან სერიოზული ცვლილებები საინფორმაციო სამსახურში, იგეგმება ახალი შენობა, ახალი წესრიგი.

***– რას ნიშნავს ახალი წესრიგი?***

– თუ როგორ უნდა გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახური უფრო ღრმა, უფრო სწრაფი და ამიტომ, ამ დროს, როდესაც სერიოზული რეფორმა მზადდება, ადამიანმა თქვას, რომ მე დავიღალე და წასვლა მინდა, ნამდვილად არ არის დამაჯერებელი.

მეორე მხრივ, ჩემთვის ისიც არ არის დამაჯერებელი, რომ ადამიანი აიძულეს, წასულიყო. რადგან ეს არის ის ადამიანი, რომელიც სერიოზულად იბრძოდა თავის პოსტისთვის და გამარჯვების გამოცდილებაც აქვს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვერც ვერასდროს გავიგოთ, რატომ წავიდა ეს ადამიანი, რადგან თუ უნდოდა ეთქვა, რომ აიძულეს, ამას დიდი ხნის წინ იტყოდა. ბარათაშვილის საკითხი ბუნდოვანია.

***– ია, უკვე სახელდება შემცვლელების გვარები – კოკა ყანდიაშვილი, ნინო ზაუტაშვილი, სერგი გვარჯალაძე. რას იტყვით ამის თაობაზე?***

– ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ მოვა და რა პროცესს მოიტანს. მინდა ერთადერთი რამ, როგორც ამ ტელევიზიის დიდ გულშემატკივარს, რომ პროცესი იყოს საჯარო, ისეთი, როგორიც იყო აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელის არჩევის დროს. ის პროცესი იმდენად საჯაროდ წარიმართა და ნათია კაპანაძე იყო იმდენად უკეთესი კანდიდატი, ვიდრე დანარჩენები, რომ ნათიამ უბრალოდ გამოსავალი არ დაუტოვა არავის თავისი პროფესიონალიზმით. აი, ასეთი ღია პროცესი მინდა ამ შემთხვევაში.

***– დასახელებულ გვარებზე რას იტყვით?***

– მოდით, დასახელებულებზე დღეს საერთოდ არ ვილაპარაკოთ, იმიტომ, რომ კიდევ ბევრი ადამიანი დასახელდება. ჯერ არ გამოცხადებულა კონკურსი და კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვეა იმისთვის, რომ კანდიდატები დასახელდეს. არ არის გამორიცხული, რომ რეალურმა კანდიდატმა ბოლო დღეს შეიტანოს განაცხადი. კანდიდატებზე მას შემდეგ ვისაუბროთ, როცა ყველა მათგანი გვეცოდინება.

***– როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი?***

– ჩემი სურვილია, ამ თანამდებობაზე აირჩეს ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალიან კარგად ექნება გააზრებული, რომ არის უდიდესი პატივი და უდიდესი შესაძლებლობა საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობა. მით უმეტეს, ასეთ თანამდებობაზე.



ზოგჯერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ მუშაობენ მაჩანჩალა ტელევიზიაში. ეს არ არის ასე! უდიდესი პატივია საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობა! მე მინდა, რომ ისეთი იყოს ეს ტელევიზია, რომ ყველამ გაიაზროს, მათ აქვთ სასტარტო პირობები ბევრად უკეთესი, ვიდრე სხვა ჟურნალისტებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობენ საზოგადოებრივ მაუწყებელში. მათ უნდა შექმნან ის განწყობა მაყურებელში, რომ ლიდერი ტელევიზიაა.

### „ხელისუფლების ტოტალური კონტროლი მედიაზე გამორიცხულია“

***– ეს აქამდე არ იგრძნობოდა?***

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს ვერ შეძლო ბარათაშვილმა. კი, საზოგადოებრივი მაუწყებელი წინ მიდიოდა ბოლო წლების განმავლობაში, ბევრი რამ იყო ახალი და კარგი, მაგრამ ბევრი რამ იყო ისეთი, რომლის შესახებაც ჩვენ საერთოდ არ გვაქვს წარმოდგენა. იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, არ გვიზიდავს ეს ტელევიზია. ამიტომ მინდა, რომ იქ მოვიდეს ადამიანი, რომელსაც შეეძლება, რომ გუნდს ეს ენერგია შთააბეროს, რომ ისინი განსაკუთრებულები არიან.

ამ ტელევიზიას ევალება, რომ იყოს ყველაზე მაღალი ნდობით აღჭურვილი ტელევიზია. ეს არის მისი ფუნქცია, რომ ენდობოდეს საზოგადოება. როცა ახალი ამბის გაგება მინდა, უნდა ვრთავდე ტელევიზორს და ვაყენებდე საზოგადოებრივ მაუწყებელზე. სიღრმისეული გამოძიება მინდა თუ ანალიტიკური გადაცემა, სწორედ საზოგადოებრივ მაუწყებელს უნდა ვუყურებდე.

თუ მაინცდამაინც გართობა მინდა, ისე, რომ ტვინი გავთიშო და არაფერს გონება არ მივაყოლო, კი ბატონო, ჩავრთავ იმ არხებზე, სადაც მოიყვანენ მკითხავებს, ან პედიკურებს და მანიკურებს გაუკეთებენ თავის სტუმრებს.

***– ეს კრიტიკაა თქვენი მხრიდან?***

– ასეთი რამეც არსებობს და კი ბატონო, იყოს, მაგრამ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა შექმნას ნამდვილი გემოვნება საზოგადოებაში და, რაც მთავარია, უნდა შექმნას ინფორმირებული არჩევანის საშუალება.

***– რას იტყვით ხელისუფლების ინტერესზე? რამდენად უარყოფთ ან დაადასტურებთ, რომ არის სერიოზული ინტერესი ამ არხის მიმართ?***

– ხელისუფლების ინტერესი ყოველთვის არის მედიის მიმართ მაღალი, მაგრამ ამ დროს მე ყოველთვის მაიმედებს ერთი რამ, რომ ციფრული მაუწყებლობის ეპოქაში საერთოდ შეუძლებელია ტელევიზიების კონტროლი.

***– ვითომ?***

– ერთ მაგალითს მოვიყვან, ინგა გრიგოლია წავიდა ერთი ტელევიზიიდან და გადავიდა მეორე ტელევიზიაში. იმ ტელევიზიაში ძალიან ცოტა რამ იყო საინტერესო და ახლა ბევრ ოჯახში ვხედავ, რომ დღის განმავლობაში, სწორედ ტვ პირველია ჩართული. იმდენად ხელმისაწვდომი გაგვიხდა ნებისმიერი ტელევიზია, რომ ერთი ფანჯარა თუ დაიხურება, აუცილებლად მეორე კარი გაიღება. ციფრული მაუწყებლობის ბუნებაა ასეთი. ვისაც აქვს ამის რესურსი და სურვილი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს ტელევიზია. მედიის ტოტალური კონტროლი ხელისუფლების მხრიდან დღეს არის გამორიცხული.

# ჯონ მაკკეინი საქართველოს ეწვევა



ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი საქართველოს ეწვევა. ამის შესახებ ნათქვამია „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სანამ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ინაუგურაცია მოხდება, კონგრესის დელეგაცია უკრაინას, საქართველოსა და ესტონეთს ეწვევა. დელეგაციას მაკკეინი და რესპუბლიკური პარტიის წევრი ლინდი გრემი უხელმძღვანელებენ.

– ისინი შეეცდებიან ევროპელი პარტნიორების დარწმუნებას, რომ ვაშინგტონი რუსეთის აგრესიას მომავალშიც არ შეურიგდება, – ნათქვამია სტატიაში.

დონალდ ტრამპის ინაუგურაცია 20 იანვარს გაიმართება.

# ვლადიმერ პუტინი: „სააკაშვილის გუბერნატორობა ოდესელებისა და ყველა უკრაინელის შეურაცხყოფა იყო“



რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის თქმით, მიხეილ სააკაშვილის გუბერნატორობა ოდესელებისა და ყველა უკრაინელის შეურაცხყოფა იყო.

– ეს ოდესელებისა და უკრაინელი ხალხის შეურაცხყოფა იყო. მას აშშ სამუშაო ვიზაც კი არ მისცეს... ნუთუ არ არსებობენ პატიოსანი პროფესიონალი უკრაინელები მსგავსი თანამდებობისთვის? – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ამერიკელ რეჟისორთან, ოლივერ სტოუნთან ინტერვიუში ფილმისთვის „უკრაინა ცეცხლში“. **ინტერპრესნიუსი**

# როდის შეუწყდება სანდრა რულოვსს დეპუტატობა



მე-9 მოწვევის პარლამენტის ბიუროს პირველ სხდომაზე პარლამენტის წევრის, სანდრა ელისაბედ რულოვსის მიმართვის შესახებ იმსჯელეს, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას შეეხება.

როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი კახიანმა განმარტა, აღნიშნული საკითხის განხილვა რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად მოხდება.

– როგორც მოგეხსენებათ, საკომიტეტო სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს განცხადების შემოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ და მომდევნო კვირაში, შესაბამის ვადებში, ჩვენ დავიწყებთ ამ პროცესს, – განაცხადა გიორგი კახიანმა. **ნიუსპრესი**

# რომელ კანონს არღვევს ვახტანგ აბაშიძე



კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი საჯარო თანამდებობის პირია, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს არღვევს.

იგი ქონებრივ დეკლარაციებში არ უთითებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პარალელურად კერძო კომპანიის დირექტორის პოზიციაც უკავია, ასევე მალავს ოჯახის წევრთა ბიზნესში ჩართულობის ფაქტებს.

ვახტანგ აბაშიძე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად 2014 წლის 16 აპრილს დაინიშნა, იმავე წლის 19 მაისს კი კომისიის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მიხედვით, ვახტანგ აბაშიძე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი საჯარო თანამდებობის პირია.

მხოლოდ 2015 წლის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურების წლიური ოდენობა 255.425 ლარი იყო, რაც თვეში საშუალოდ 21.285 ლარს შეადგენს. ზოგადად კი ამ თვალსაზრისით იგი დეკლარანტ თანამდებობის პირთა შორის მხოლოდ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს, სულხან ზუმბურიძეს ჩამორჩება, რომლის წლიური გასამრჯელოც თითქმის 336.000 ლარია.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ვახტანგ აბაშიძის ბიოგრაფია, სადაც მითითებულია, რომ 2005-2014 წლებში მას ეკავა შპს „ოპტიმა მენეჯერის“ დირექტორის პოზიცია (საწარმოს დასახელებაში დაშვებულია შეცდომა – უნდა იყოს „ოპტიმა მენეჯმენტი“).

ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დღემდე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

იგი ორი საწარმოს პარტნიორი და მეწილეა: შპს „ოპტიმა მენეჯმენტის“ (ს/კ – 204471240) და შპს „დეგაპრინტ +“-ის (ს/კ – 204558086).

იმავე დეკლარაციებში ასევე მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში ვახტანგ აბაშიძემ შპს „ოპტიმა მენეჯმენტიდან“ 88.041 ლარის ოდენობით შემოსავალი მიიღო, ხოლო შპს „დეგაპრინტ +“-დან – 76.336 ლარი.

დეკლარაციებში აღნიშნული არ არის, თუმცა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერებით დასტურდება, რომ საფინანსო-საკონსულტაციო ფირმა „ოპტიმა მენეჯმენტში“ ვახტანგ აბაშიძე ფლობს კაპიტალის 50%-ს, ხოლო გამომცემლობა „დეგაპრინტ +“-ში – 30%-ს.

ვახტანგ აბაშიძეს 2014 წელს არ შეუწყვეტია შპს „ოპტიმა მენეჯმენტის“ დირექტორის პოზიციაზე საქმიანობა, როგორც ეს ოფიციალურ ინფორმაციაშია აღნიშნული. სინამდვილეში იგი ამ თანამდებობას დღემდე იკავებს.

* * *

– „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით კომისიის წევრზე ვრცელდება ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი წესი.

ცნებაში „შესაბამისი კანონი“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს კომისიის წევრების ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „კოკატაური“ შეიძლება დაიხუროს

## კომპანია თავის წარუმატებლობას „ბორჯომს“ და „ნაბეღლავს“ აბრალებს



მინერალური და მტკნარი წყლის ჩამოსასხმელი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი საწარმო შპს „კოკატაური“ შესაძლოა, დაიხუროს.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი ვლადიმერ შერვაშიძე „კომერსანტთან“ განმარტავს, გასულ წლამდე წყალი ძველ საწარმოში ისხმებოდა, თუმცა, „კოკატაურმა“ დაასრულა ახალი ქარხნის მშენებლობა და წარმოებას იქიდან ახდენს.

მისი თქმით, საწარმო თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა, დამონტაჟებულია იტალიიდან და რუსეთიდან შემოტანილი დანადგარები. ახალი საწარმოს მშენებლობა-გადაიარაღებაში კომპანიამ ჯამში 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მიუხედავად ამისა, კომპანია პროდუქციის რეალიზებას ვერ ახდენს, რის გამოც კომპანიას ფინანსური კრიზისი წარმოეშვა და დახურვის პირასაა.

– ამ დროისთვის კომპანია თვეში 10.000 ლიტრ მინერალურ წყალს ასხამს, მეტის რეალიზებას ვერ ვახდენთ. პროდუქციას ვყიდით აჭარაში, თუმცა ძალიან მცირე პარტიებით, – აცხადებს შერვაშიძე.

ის განმარტავს, რომ ფინანსური პრობლემების მიზეზი სავაჭრო ქსელების და კონკურენტი კომპანიების „ბორჯომის“ და „წყალი მარგებელის“ (ნაბეღლავი) არაკეთილსინდისიერი მოქმედებებია.

– ეს კომპანიები სავაჭრო ქსელებს და მარკეტებს ფულს უხდიან იმაში, რომ მათ ქსელში სხვა წყალი არ შევიდეს. მე რომ წყალს შევიტან, დახლის ქვეშ არის დამალული. ასე ხდება აჭარაშიც და სრულიად საქართველოში. ეს კომპანიები ფინანსურად ძლიერები არიან, მე მაგათ ვერ მოვუგებ, – აცხადებს შერვაშიძე.

მისი თქმით, დიდი კომპანიები შპს „კოკატაურს“ ბლოკავენ, შედეგად კომპანიას ვალი აქვს და თანამშრომლების ხელფასებსაც გაჭირვებით ისტუმრებს.

როგორც შერვაშიძე ამბობს, თუ ასე გაგრძელდა, 44 წლის წინ დაწყებული წარმოება გაჩერდება.

– დანადგარებს კიდე გავყიდი ან ჯართად ჩავაბარებ, – აცხადებს შერვაშიძე.

მინერალური წყალი „კოკატაური“ ნახევარლიტრიან და 1 ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში ისხმება. 1 ლიტრიანი ბოთლის ფასი 55 თეთრია. მტკნარ წყალ „ქედის წყაროს“ ნახევარლიტრიანი ბოთლი 22 თეთრი ღირს.

როგორც შერვაშიძე ამბობს, კომპანია წყლის წარმოების გარდა, სასტუმროების ბიზნესშიც აპირებდა შესვლას, თუმცა, ეს პროექტიც ამ დრომდე განუხორციელებელია. კერძოდ, ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულია 22 ნომრიანი სასტუმრო-სანატორიუმი და მისი ამ დრომდე ექსპლუატაციაში შესვლა ფინანსების არქონის გამო ვერ ხერხდება.

შერვაშიძის აზრით, ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, რომ მცირე კომპანიები განვითარდნენ.

შპს „კოკატაური“ ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოკატაურში მდებარეობს. კომპანია რუსულ-ქართული კაპიტალითაა შექმნილი. მინერალური წყალი „კოკატაური“ საჭმლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციას აუმჯობესებს. ასევე რეკომენდებულია ქრონიკული გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ინფექციური ჰეპატიტის, ქრონიკული მიმდინარეობის პანკრიატიტების დროს.

* * *

„კოკატაურის“ ბრალდებებს ისევ „კომერსანტთან“ კომპანია „წყალი მარგებელი“ პასუხობს და აცხადებს, რომ მსგავსი ფაქტები მათი მხრიდან გამორიცხულია.

– „კოკატაური“, იმედია, თავის პრობლემებს ჩვენ არ გადმოგვაბრალებს. ჩვენ ასე არ ვმუშაობთ, ჩვენი მხრიდან ეგ გამორიცხულია, თუ რაღაც პრობლემა არსებობს, მაშინ პირადად იმ მაღაზიასთან იქნება, რომელშიც ვერ შედიან, – აცხადებენ „წყალი მარგებელში“.

კომპანია „ბორჯომში“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

– ეს ბრალდება იმდენად არასერიოზულია, რომ ჩვენ კომენტარს ვერ გავაკეთებთ, – განუცხადეს „კომერსანტს“ „ბორჯომში“.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.



დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4903 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4889 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0014 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6497 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6420 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.007 ლარი შეადგინა.

# „მიკროავტობუსის მძღოლებმა მანქანები თვითნებურად გაზზე გადაიყვანეს, რაც ფეთქებადსაშიშია“



საქართველოში „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ მხარდაჭერით, კვლევა ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ რამდენადაა დაცული მძღოლის უფლებები.

როგორც ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის პრეზიდენტი დავით მესხიშვილი აღნიშნავს, რომელმაც კვლევის შედეგები შეისწავლა, გამოიკვეთა მძღოლების მხრიდან მგზავრთა უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებიც.

– მოხდა ასეთი რამ: 101 მიკროავტობუსის მძღოლებმა მანქანები თვითნებურად გაზზე გადაიყვანეს, რაც ფეთქებადსაშიშია; ამასთან, არის გაწელილი რეისები, რომლებიც მთელ ქალაქს წრეს არტყამს, რითაც მგზავრების ზენორმირებული გადაყვანა ხდება, რომ მძღოლს რაც შეიძლება მეტი თანხა დარჩეს, რადგანაც მისმა ხარჯმა მოიმატა, – აცხადებს დავით მესხიშვილი.

მისი თქმით, მერია აღნიშნული ხაზის მიკროავტობუსების მძღოლთა დაჯარიმებით შემოიფარგლა.

– თბილისის მერიამ ისინი დააჯარიმა, მაგრამ ეს სიტუაციას არ ასწორებს. მიკროავტობუსებში ნასვამ პირებთან, მგზავრებთან, ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. ამ თემაზე მძღოლები მწვავედ საუბრობენ, – აღნიშნავს დავით მესხიშვილი.

# რომან გოცირიძე: „ფუფუნება ჩავაბაროთ წარსულს“

## „არ არის აუცილებელი, პარლამენტში ზვიად ძიძიგური მოდიოდეს შავი ჯიპით“



– ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება ბიუჯეტის გაჯანსაღება; ქვეყანაში უნდა დაიწყოს რადიკალური დებიუროკრატიზაცია.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა, დეპუტატმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, არ არის საჭირო, მინისტრს ჰყავდეს 5 და 7 მოადგილე თავისი შავი ჯიპებით, ისევე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები სარგებლობდნენ ათასნაირი შეღავათით, სპეცმომსახურებით და ა.შ.

– არ არის აუცილებელი, პარლამენტში ზვიად ძიძიგური მოდიოდეს შავი ჯიპით. ამის გარეშეც ძალიან კარგად შევძლებთ ჩვენ კანონების მიღებას. ფუფუნება უნდა ჩაბარდეს წარსულს. ხალხს უნდა დავუმტკიცოთ, რომ რეალურად გვინდა ლარის გამყარება, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში მხარს დაუჭერს ყველა იმ ინიციატივას, რომელიც წაადგება ხალხს და ეკონომიკურ განვითარებას.

– ჩვენ არავის ვუდგავართ ჯიბრში, – აღნიშნა გოცირიძემ.

# პრეზიდენტ ნაზარბაევის ინიციატივა „G-Global“



დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა მრავალ ფაქტორზე მოქმედებს. უმეტესად მისი გავლენა ხასიათდება მთელი რიგი არასტაბილურობით. ამ პრობლემების ეფექტური გადაწყვეტილება მიგვითითებს აუცილებლობაზე, გადაიხედოს მე-20 საუკუნის სისტემის შეხედულებები როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში.

თანამედროვე რეალობაში თუ ვინმე უარყოფს, რომ გლობალური თანამშრომლობის ზოგიერთი გამოყენებადი მექანიზმი მოითხოვს სრულყოფას, ამ კრიტიკის სამიზნე ნაწილი მდებარეობს გაეროში. საუბარია მის უუნარობაზე, გარდაქმნას ნეგატიური სცენარი და უარყოს ძალადობის შეჩერების რეალური შესაძლებლობები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. თუმცა, საერთაშორისო დიალოგის მოდერნიზება საჭიროებს არა მხოლოდ ინსტიტუციონალურ მოედანს. პრობლემის დაძლევის გასაღები თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია მოდერნიზაციის მიდგომებისა და ადეკვატური ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე.

ბოლო ათწლეულის კონფლიქტები, კერძოდ კი, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მღელვარე პროცესი აიძულებს ყველა სახელმწიფოს ხელმძღვანელობას, გამოიმუშავონ მისაღები გადაწყვეტილებები, მაგრამ მათგან უფრო ფასეულია ის პროექტები, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ არა მარტო სასარგებლო კონკრეტული ქვეყნისათვის ან რეგიონისათვის, არამედ შემოგვთავაზოს მიმდინარე პროცესების საკვანძო საკითხების ეფექტურად გადაწყვეტილებები.

ერთ-ერთ ასეთ გახმაურებულ ინიციატივას წარმოადგენს 2011 წელს ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის მიერ „გლობალური კომუნიკაციის პლატფორმის შექმნა G-Global“. ეს უნიკალური ფორმულა მიზნად ისახავს მთელი მსოფლიოს კონსოლიდირებულ საზოგადოებას. გლობალი არ არის მსგავსი „დიდი შვიდეულის“, „რვიანის“ და ასევე „ოცეულის“, ის მოწოდებულია არ გამოარჩიოს მეორეხარისხოვანი ქვეყნები და გააერთიანოს ყველა გამონაკლისის გარეშე. თუმცა, ყაზახეთში აცხადებენ, რომ გლობალის პროექტი არ არის ალტერნატივა G8 და G20-ის დამკვიდრებული ჯგუფისა, არამედ ეს არის გლობალური დიალოგის დამატებითი ინსტრუმენტი.

ვარაუდობენ, რომ ეს პროექტი მისცემს ახალ იმპულსის გლობალური ანტიკრიზისული გადაწყვეტილებების ძიებაში და მსოფლიოს ნებისმიერ გაერთიანებას მისცემს საშუალებას ჩაერთოს ღია დიალოგში. ყაზახეთის ლიდერი სთავაზობს ყველა ქვეყანას, კონცენტრირება გაუკეთონ და მთელი ძალები გამოიყენონ სტრატეგიების შემუშავებაში, რომელიც სამუდამოდ აარიდებს მსოფლიოს ომის საფრთხეს და ბოლოს მოუღებს მის გამომწვევ მიზეზებს.

ამ ეტაპზე G-Global კომუნიკაციური მოედანი მრავალფუნქციური ინტერნეტ პლატფორმაა, სადაც გაერთიანებულები არიან მსოფლიოს გამოცდილი ადამიანები, რომლებიც მსჯელობენ გლობალის საკითხებზე მსოფლიოს განვითარებისათვის.

ხუთი წლის მანძილზე მან გააერთიანა 30 000 ექსპერტი და 150 ქვეყანა. პროექტს მხარი დაუჭირა 14-მა ნობელის პრემიის ლაურეატმა: რონერტ მანდელი, დაჟონ ნეში და სხვ. ასევე პროექტის განვითარებაში მთავარი როლი ითამაშეს საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესის, მეცნიერებისა და განათლების წარმომადგენლებმა. გლობალის სამუშაო მოედანი გახდა ასტანის ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ყაზახეთის დედაქალაქში. ყოველდღიურ რეჟიმში მსოფლიო კავშირის ინტელექტუალები დაკავებულნი არიან მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად, რომელზეც დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მომავალი. პლატფორმის ირგვლივ მუდმივად მოქმედებს ექსპერტების ღია დისკუსიები ფინანსურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ პრობლემებზე. ასტანის ეკონომიკურ ფორუმზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორმა დანიელ ჰელერმა მხარი დაუჭირა ყაზახეთის წინადადებას „მსოფლიო საერთაშორისო ღია დიალოგს“. მან აღნიშნა, რომ ვიწრო ჯგუფების ჯგუფ გლობალში გადასვლის იდეა მიუთითებს, რომ თვით ფონდი ვითარდება როგორც გლობალური ინსტიტუტი. ამჟამად შემოდის წინადადებები სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებისა და მეცნიერებისაგან, რომლებიც მოითხოვენ პირველი გლობალ ფორუმის ჩატარების აუცილებლობას საერთაშორისო გამოფენის „ექსპო-2017“-ის პერიოდში, რომელიც გაიმართება 2017 წელს ასტანაში. არის აზრი, რომ ამ კონფერენციას შეუძლია შეაგროვოს ერთ მოედანზე წამყვანი პოლიტიკოსები, ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა მინისტრმა ჰერდ დუგლასმა ინიციატორად დაასახელა ყაზახეთის ლიდერი და აღიარა როგორც საკმაოდ რეალისტი ლიდერი. ის განსაკუთრებულ იდეად თვლის მსოფლიო ანტიკრიზისული გეგმის მიღებას, რომელიც განიხილებოდა ჯერ კიდევ ასტანის ეკონომიკურ ფორუმზე და დაეთანხმა მას, რომ ტერორიზმი, მიგრაცია და სხვა ნეგატიური მოვლენები – ეს არის ეკონომიკური კრიზისის შედეგი. სიღარიბე, უმუშევრობა და გაუნათლებლობა მხოლოდ თანადგომით არის შესაძლებელი ამ პრობლემების მოგვარება. როგორც აღნიშნავენ საერთაშორისო დამკვირვებლები, ყაზახეთის პრეზიდენტის წინადადება წარმოადგენს წარმატებული ცდის პროექტორს რესპუბლიკის მსოფლიო მასშტაბით.

ყაზახეთი თავისი საქმით ადასტურებს უსაფრთხოების კონცეფციით წარმოდგენილ ერთგულებას, რაც გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულებას უსაფრთხოების საკითხში, ადამიანის უფლებების მდგრად განვითარებას. ყაზახეთის ლიდერის კრიზისული პროცესებისა და გეოპოლიტიკის დაპირისპირების ანტიკრიზისული იდეები მნიშვნელოვანია გლობალურ საზოგადოებაში. შეგახსენებთ, რომ ა.წ. ზაფხულში ყაზახეთი დროებით არჩეულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრად 2017-2018 წლებში.

გაერო გეგმავს აქტიურად შეუწყოს ხელი გლობალურ ურთიერთობას და უზრუნველყოს სტაბილური პირობების განვითარება და მათ შორის გლობალთან დაკავშირებული პრინციპები.

საერთაშორისო ექსპერტები თვლიან, რომ პროექტ გლობალს ნამდვილად შეუძლია მისცეს ტემპი ოპტიმალური პასუხების ძიებას. ყაზახეთს, მიუხედავად თავისი ხანმოკლე ისტორიისა, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, შეუძლია დაიკვეხნოს ძალიან მყარი გამოცდილებით საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმულირების საკითხში. ასტანა არაერთხელ მოქმედებდა პროგრესიული ინიციატივით, რომლის პერსპექტივაა საერთაშორისო თანამეგობრობამ შეძლოს მისი შეფასება.

**ზაზა მეზვრიშვილი**

# თბილისში, შარტავას ქუჩაზე, 16 წლის გოგონას ცხედარი იპოვეს



თბილისში, შარტავას ქუჩაზე 16 წლის გოგონას ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილი მშენებარე კორპუსის მუშებმა ორმოში აღმოაჩინეს.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლითაა აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

როგორც ჟურნალისტებს ადგილზე, შარტავას ქუჩის მცხოვრებმა ზაზა უგრეხელიძემ განუცხადა, იგი იცნობს გარდაცვლილის მამას და ოჯახის სხვა წევრებს.

უგრეხელიძის თქმით, გარდაცვლილის მამა ყოფილი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე ხილს ყიდის.

როგორც მან განაცხადა, მშენებარე კორპუსის დაცვამ წინა დღეს ტერიტორიაზე მოზარდები შენიშნა და მოუწოდა ტერიტორია დაეტოვებინათ. ამის შემდეგ მოზარდები ტერიტორიიდან გავიდნენ, დილით აღნიშნულ ადგილზე გარდაცვლილის და მოვიდა და სწორედ მან აღმოაჩინა მშენებარე კორპუსის სარდაფში 16 წლის დის ცხედარი.

ადგილზე მომუშავე პირები იმასაც აღნიშნავენ, რომ ტერიტორიაზე ხშირად გარკვეული სექტის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, რომლებიც კატებს ატყავებდნენ.

მათივე ინფორმაციით, ერთი შეხედვით, გარდაცვლილს სხეულზე დაზიანებები არ აღენიშნება.

როგორც „კვირას" ადგილობრივებმა განუცხადეს, მარიამ ჯ.-ს ოჯახი რამდენიმე დღეა ეძებდა, გუშინ დილით კი შემთხვევის ადგილზე გოგონას და და მეგობრები მივიდნენ და კორპუსის მშენებლობაზე დასაქმებულ მუშას ტერიტორიის დათვალიერება სთხოვეს.

მათ გოგონას ცხედარი მშენებარე კორპუსის პირველი სართულის ტერასაზე იპოვეს. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალგაზრდები ხშირად იკრიბებიან, თუმცა რა მიზნით, არ იციან.

როგორც „კვირას" ოჯახის ახლობელმა განუცხადა, გოგონამ, სავარაუდოდ, თავი მოიკლა შეყვარებულის გამო.

ოჯახს კიდევ 3 შვილი ჰყავს, გარდაცვლილი მათი უფროსი შვილი იყო. ისინი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ქირით ცხოვრობდნენ.

16 წლის გოგონა მარიამ ჯ. თბილისის ერთ-ერთი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე იყო.

„კვირასთან" საუბარში სკოლის დირექტორი თამარ ლოსაბერიძე აცხადებს, რომ გოგონა აქტიური მოსწავლე იყო და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებშიც ძალიან ხშირად იღებდა მონაწილეობას.




როგორც დირექტორის საუბრიდან ირკვევა, გოგონა პარასკევს სკოლაში არ იყო, ორშაბათს კი სკოლაში მისვლას გეგმავდა.

დირექტორი ამბობს, რომ მარიამ ჯ.-მ უქმეებზე თანაკლასელს ჰკითხა, თუ რა დავალება მისცა მის კლასს ორშაბათისთვის მათემატიკის პედაგოგმა.

თამარ ლოსაბერიძე ამბობს, რომ 16 წლის გოგონა დეპრესიული არ იყო და არც თანატოლებთან ჰქონია კონფლიქტი.

– ყველანი დაზაფრულები ვართ, არაჩვეულებრივი მოსწავლე იყო მარიამი. დიდი ადამიანი დაკარგა მისი სახით სკოლამ. კარგად სწავლობდა და სკოლის ღონისძიებებთან დაკავშირებითაც სულ იჩენდა ინიციატივებს. კარგი ხასიათის ბავშვი იყო და მოწყენილობა არ შეგვინიშნავს, არც არავისთან ჰქონია კონფლიქტი.

როგორც მისი თანაკლასელი ამბობს, მარიამი პარასკევს სკოლაში არ ყოფილა. მისთვის უკითხავს, მათემატიკაში რა დავალება მისცა მასწავლებელმა, რომ დღეისთვის მომზადებული მოსულიყო სკოლაში. ვერ ვხვდები, რა მოხდა.

მთელი კლასი განადგურებულია ამ ტრაგედიით, ყველას ძალიან უყვარდა. დილით პატარა დედმამიშვილს ბაღში ტოვებდა და მერე მოდიოდა სკოლაში, მისი ერთი დაც ჩვენთან სწავლობს, მე–9 კლასშია. მარიამი უფროსი იყო, სულ 4 შვილი ჰყავდათ მათ მშობლებს, ყველაზე პატარა 3 თვისაა, – განუცხადა „კვირას" თამარ ლოსაბერიძემ.

დირექტორისთვის უცნობია, ჰყავდა თუ არა არასრულწლოვან გოგონას შეყვარებული.

– არასოდეს შეგვინიშნავს, რომ მარიამისთვის ვინმეს მოეკითხოს. არც ის გამიგია, რომ შეყვარებული ჰყავდა. ამაზე ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ, რაც შემიძლია ვთქვა ის არის, რომ მარიამი არაჩვეულებრივი მოსწავლე იყო, – აღნიშნავს დირექტორი.

გოგონას ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

# მკვლელს თელავის სასამართლომ 10 წლით ციხე მიუსაჯა



სასამართლომ ბრალდებულ გელა ხუციშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გელა ხუციშვილი დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობასა და ქურდობაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 5 აგვისტოს, ღამით, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გელა ხუციშვილმა თანასოფლელ თინათინ ხოდაშნელიშვილთან წარსულში არსებული უთანხმოების გამო, შურისძიების მოტივით განიზრახა მისი მკვლელობა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით გელა ხუციშვილი მივიდა თინათინ ხოდაშნელიშვილთან სახლში და ბლაგვი საგნის მრავალჯერადი დარტყმებით მიაყენა სხეულის დაზიანებები, შემდეგ გაგუდა და გვამი ეზოში მდებარე მარანში არსებულ ქვევრში დამალა.

გვამის გადამალვის შემდეგ, გელა ხუციშვილი თინათინ ხოდაშნელიშვილის სახლში დაბრუნდა, მსხვერპლის საწოლს ცეცხლი წაუკიდა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა თინათინ ხოდაშნელიშვილის კუთვნილ მობილურ ტელეფონს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა გელა ხუციშვილი 10 აგვისტოს სოფელ შაქრიანში დააკავეს.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გელა ხუციშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

# მშობლების მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლების განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ივანე ქ.-ს აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

როგორც „კვირას" სასამართლოში განუცხადეს, სხდომას ბრალდებულიც ესწრებოდა და მას სახაზინო ადვოკატი იცავდა.

სხდომის მდივნის ინფორმაციით, ბრალდებულმა პროცესზე ვინაობა დაასახელა, ამის შემდეგ კი აღნიშნა, რომ იგი დათრგუნულია და მომხდარის შესახებ ნერვიულობს.

შეგახსენებთ, რომ 19 ნოემბერს, დილის საათებში, წალენჯიხის სოფელ ლიაში 35 წლის ივანე ქ.-მ მშობლებს ნაჯახით თავები მოჰკვეთა.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მშობლების განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილ 35 წლის ივანე ქ.-ს შიზოფრენია 20 წლის წინ დაუდგინდა. მას სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები ჰქონდა. ამის შესახებ „კვირას" პაციენტის ოჯახის ექიმმა განუცხადა.

მისი თქმით, პაციენტს შიზოფრენია 20 წლის ასაკში, თბილისში, ფსიქიატრიულ კლინიკაში დაუდგინდა და სამედიცინო დაწესებულებაშიც მკურნალობდა, თუმცა უკვე რამდენიმე წელია მედიკამენტოზური მკურნალობის ქვეშ იმყოფებოდა.



ოჯახის ექიმის ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ბოლო ერთი კვირაა, აგრესიული იყო.

# რომელ კანონს არღვევს ვახტანგ აბაშიძე

დასაწყისი მე-5 გვერდზე

კერძოდ, ამ კანონის მე-11 მუხლით დადგენილი ნორმა კომისიის წევრს მხოლოდ მაშინ უკრძალავს კერძო საწარმოში წილის (აქციების) ფლობას ან ხელმძღვანელობითი პოზიციის დაკავებას, თუ ამ საწარმოს საქმიანობა განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.

თუმცა კომისიის წევრებზე ვრცელდება ასევე კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", რომელიც ყველა თანამდებობის პირს აკისრებს ვალდებულებას, რომ ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითოს ინფორმაცია მისი და ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ.

ეს ინფორმაცია კი უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, მონაწილეობის ფორმა, საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, საწარმოს იურიდიული მისამართი, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი და საანგარიშო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (იხ. ამ კანონის მე-15 მუხლის „ი" ქვეპუნქტი).

იურისტების განმარტებით, კანონის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ვახტანგ აბაშიძეს უკავია შპს „ოპტიმა მენეჯმენტის" დირექტორის პოზიცია, თუმცა კანონდარღვევაა ამ ფაქტის ქონებრივ დეკლარაციაში მიუთითებლობა.

გარდა ამისა, ვახტანგ აბაშიძის არც ერთ დეკლარაციაში არ არის აღნიშნული მისი შვილების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის თაობაზე.

* * *

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა გამოარკვია, რომ ვახტანგ აბაშიძის შვილი ანდრია აბაშიძე 2012 წლის 27 ნოემბრიდან არის შპს „დვერტუს"-ის (ს/კ – 404965686) პარტნიორი და კაპიტალის 33% წილის მფლობელი.

ვახტანგ აბაშიძის შვილები – ანდრია და ლევან აბაშიძეები 2013 წლის 15 ნოემბრიდან არიან შპს „უნივერსალ ბიზნეს ჯგუფის" (ს/კ – 406106994) დამფუძნებელი პარტნიორები და თითოეული მათგანი ამ საწარმოს კაპიტალის 1/3-ის მესაკუთრეა.

ანდრია აბაშიძემ 2016 წლის 8 ნოემბერს დააფუძნა შპს „ედ პლიუსი" (ს/კ – 405174920), სადაც იგი არის დირექტორიც და კაპიტალის 100% წილის მფლობელიც.

ეს ინფორმაცია მომავალში სავალდებულო წესით უნდა აისახოს ვახტანგ აბაშიძის ქონებრივი დეკლარაციის შესაბამის გრაფაში.

* * *

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, თანამდებობის პირის მიერ ქონებრივ დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანა დანაშაულად მიიჩნევა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 120-დან 200 საათამდე, ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ვადით 3 წლამდე.

ამასთან, 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო პროაქტიულად მოახდენს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისწორისა და სისრულის შემოწმებას.

მონიტორინგის შედეგად კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მის ჩამდენ თანამდებობის პირებს დაეკისრებათ ადმინისტრაციული ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ბარაკ ობამა ვლადიმერ პუტინს შეხვდა



პერუს დედაქალაქ ლიმაში აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტი შედგა. მას აშშ-ს პრეზიდენტი ობამა და რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინიც დაესწრნენ. შედგა პუტინ-ობამას შეხვედრა.

— ეს პრეზიდენტის რანგში პუტინთან ჩემი უკანასკნელ საუბარი იყო, — განუცხადა ჟურნალისტებს ობამამ.

აშშ-ს ლიდერმა თავის რუს კოლეგას უთხრა, რომ დონალდ ტრამპიც მინსკის შეთანხმებების განუხრელად შესრულების მომხრეა. ამაზე პუტინმა მიუგო, რომ მისი და ტრამპის პოზიციები ემთხვევა. რუსეთიც მინსკის შეთანხმებების შესრულებას მოითხოვს, მაგრამ უკრაინული მხარე ამას არ აკეთებს.

— ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მინსკის შეთანხმებებს თქვენ არღვევთ, — მიუგო ობამამ.

აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანახმად მინსკის ხელშეკრულებებისა, დონბასი ყველა უცხო ფორმირებამ უნდა დატოვოს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა თავისი ჯარი უნდა გაიყვანოს, საზღვარზე კონტროლი კი უკრაინას გადასცეს.

— ჩვენი არმია დონბასში არ იმყოფება, — მიუგო პუტინმა.

— რუსი ჯარისკაცების რაოდენობამ უკვე 32.000-ს მიაღწია. ისინი თანამედროვე სამხედრო ტექნიკით არიან აღჭურვილნი, — ასეთი იყო ობამას პასუხი.

აშშ-ს ლიდერმა დაამატა, რომ ტრამპთან ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა. ამერიკის ახლად არჩეული ლიდერი სრულად იზიარებს იმას, რომ რუსეთის არმიამ დონბასი უნდა დატოვოს, ანუ შეიქმნას უსაფრთხო გარემო, რაც თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას შესაძლებელს გახდის.

აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი ქვეყანა ამ პოზიციიდან არ გადაუხვევს და თუკი რუსეთი გაჯიუტდება, მას დამატებით სანქციებს დაუწესებენ.

## გენერალი მატისი შესაძლოა აშშ-ს თავდაცვის მინისტრი გახდეს



ამერიკული მედიის ცნობით, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის პოსტი შესაძლოა გენერალმა ჯეიმს მატისმა დაიკავოს.

მატისი 1950 წელს დაიბადა, დაამთავრა საზღვაო ქვეითთა სკოლა, მონაწილეობდა ერაყის კამპანიაში, იბრძოდა ავღანეთში.

გენერალი თვლის, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ინტერვენცია ან სირიაში ბაშარ ასადის მხარდაჭერა, დასავლეთს საფრთხეს უქმნის. ის არაერთგზის აკრიტიკებდა ობამას რუსეთის მიმართ გაუბედავი პოლიტიკის გატარების გამო.

## პოროშენკო: „ვადამდელი არჩევნები უკრაინაში არ ჩატარდება“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ გამოაშკარავდა კრემლის გეგმა, რომელიც უკრაინაში დესტაბილიზაციას ითვალისწინებდა.

პრეზიდენტი ოპერაცია „შატუნსა“ და ქვეყნის შიგნით შექმნილ მდგომარეობას შეეხო. მან განაცხადა, რომ უკვე დადასტურებულია სინამდვილე იმ დოკუმენტების, რომლებიც ჰაკერებმა სურკოვის ელ-ფოსტის გატეხვის შედეგად მოიპოვეს.

— მე, როგორც პრეზიდენტი, დესტაბილიზაციას არ დავუშვებ! არავითარი ვადამდელი არჩევნები უკრაინაში არ ჩატარდება, — განაცხადა პოროშენკომ.

## ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთი აგრესორად აღიარა



სტამბოლში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის სხდომა ჩატარდა.

მიღებულ იქნა რეზოლუცია პოსტვარშავული სტრატეგიისა და თავდაცვის შესახებ.

ამ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რუსეთი აწარმოებს აგრესიას სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ.

## ქაბულში შიიტურ მეჩეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა



ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში შიიტურ მეჩეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა, რის შედეგადაც, როგორც მინიმუმ, 27 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 35 დაშავდა.

ავღანეთის მოსახლეობის 15% შიიტია.

მიმდინარე წლის ივლისში, ქაბულში შიიტური საპროტესტო აქციის დროს, ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად 80 ადამიანი დაიღუპა.

## ანგელა მერკელი კანცლერის პოსტზე კენჭს ისევ იყრის



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წევრებს შეხვდა.

მერკელმა განაცხადა, რომ სურს, კანცლერად მეოთხე ვადითაც აირჩიონ.

მერკელს კანცლერის პოსტი 2005 წლიდან უკავია. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის იქნება პირველი გერმანელი პოლიტიკოსი, რომელიც კანცლერის პოსტზე ესოდენ ხანგრძლივი დროის მანძილზე დარჩა.

## სარკოზი ბორტს მიღმა რჩება



ფრანგმა კონსერვატორებმა საერთო-ეროვნული პრაიმერზიის პირველი ტური ჩაატარეს.

პირველ ადგილზე პრემიერი ფიიონი გავიდა. მას მხარი 43%-მა დაუჭირა, მეორეზეა ექს-პრემიერი ჟიუპე (26,9%), ექს-პრეზიდენტი სარკოზი 22,8%-ით მესამე ადგილზეა.

სარკოზი ბორტს მიღმა რჩება.

ექსპერტები შიშობენ, რომ საფრანგეთში შესაძლოა მემარჯვენე-პოპულისტურმა ძალებმა გაიმარჯვონ. ასეთებად მიაჩნიათ როგორც ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი, ასევე ნაციონალური ფრონტის ლიდერი მარინ ლე პენი. სარკოზი ლიდერობას ველარ შეძლებს. მარინ ლე პენის რეიტინგი კი დღესდღეობით მაღალია.

კალეიდოსკოპი

## უკრაინელი, რომელიც თავს მოსწავლედ ასაღებდა, აშშ-ში დააპატიმრეს

ამერიკის პენსილვანიის შტატის საოლქო სასამართლომ უკრაინის მოქალაქეს, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში თავს სკოლის მოსწავლედ ასაღებდა, ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მამაკაცი მიმდინარე წლის თებერვალში დააპატიმრეს, თუმცა სასამართლო პროცესი მხოლოდ ახლახან გაიმართა. უცნობია, თუ როგორ გამომჟღავნდა არტურ სამარინის თაღლითობა. მას ხუთი სისხლის სამართლის ეპიზოდი და არასრულწლოვნის შეცდენა ედება ბრალად.

24 წლის სამარინმა საბუთებსა და მართვის მოწმობაში საკუთარი დაბადების დღის თარიღი შეცვალა. 2012 წელს, როდესაც მის ტურისტულ ვიზას ვადა ამოეწურა, ქალაქ გარისბერგის საშუალო სკოლაში ეშერ პოტსის სახელით მოეწყო.



მიუთითარა, რომ ის ექვსი წლით უმცროსი იყო, უკრაინელმა სწავლა დაიწყო და აქტიურად მონაწილეობდა სკოლის ცხოვრებაში. ის ეროვნული საპატიო საზოგადოების წევრი გახდა, მონაწილეობდა ახალგაზრდულ ფორუმებში, ხვდებოდა 15 წლის გოგონას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს. თავისუფალი რადიკალები არის ეგრეთწოდებული „ნარჩენები“, რომელსაც ორგანიზმში წარმოქმნის დაბინძურებული გარემო, ულტრაიისფერი სხივები, სიგარეტის კვამლი, გამონაბოლქვი და სხვა გარემო ფაქტორი.

თავისუფალი რადიკალები ზიანს აყენებენ უჯრედულ სტრუქტურას. უკიდურეს შემთხვევაში იწვევს კიბოს გაჩენას. ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79. „მედტექნიკა“**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**ფასი 35 ლარი**



**ელექტროლეიბი — ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე);**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# დინამო ისევ დაუმარცხებელია



**დინამო-რუსთავი 86:63**
(17:16; 27:6; 21:19; 21:22)

დინამო მიმდინარე სუპერლიგაში დაუმარცხებელია და თამაშს კიდევ უფრო ხვეწს. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა მორიგი ტურის შეხვედრაში რუსთავს ისე მოუგო, დიდი ჯაფა არ დასდგომიათ. არადა, რუსთაველებს ჩემპიონატში მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდათ.

დაძაბული მხოლოდ მატჩის საწყისი პერიოდი გამოდგა, რომელიც დინამოელებმა 1 ქულით – 17:16 მოიგეს. მცირე შესვენების შემდეგ დინამომ თამაშზე სრული კონტროლი დაამყარა და მეორე პერიოდის 27:6 მოგების შემდეგ დიდ შესვენებაზე 22-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

ზოგადად, ეს სხვაობა გაუბათილებელი არაა და ხშირად ყოფილა, ამაზე დიდი სხვაობა გაცილებით მცირე დროში აღმოფხვრილა, თუმცა ამის რესურსი რუსთაველებს არ აღმოაჩნდათ. თუკი რამის შეცვლა რეალურად შეეძლოთ, ქვემოქართლელებს მესამე პერიოდში უნდა ეყოჩაღათ, თუმცა აღნიშნული მეოთხედი კვლავ დინამომ მოიგო და მატჩის ბედიც გაირკვა.

დინამოელებმა ყველა პოზიციაზე შედეგიანად ითამაშეს და გამარჯვებაც გუნდური თამაშის დამსახურებაა.

გამარჯვებულთაგან 5 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ბარიერს, რომელთაგან 16 ქულით საუკეთესო ილია ლონდარიძე გახლდათ. 14 ქულა მიითვალა გიორგი რევაზაშვილმა, ხოლო სამმა კალათბურთელმა – გოგოძემ, ბერიშვილმა დ ვონმა 11-11 ქულა დააგროვეს. რუსთავში 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ გიგი გოგობერიშვილმა დაძლია, რომელმაც შეხვედრა 16 ქულით დაასრულა.

**მგზავრები-ქუთაისი 72:76**
(13:19; 23:10; 17:21; 19:26)

სუპერლიგის ჩემპიონმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო და ტიტულის შესანარჩუნებელ გზაზე დაგეგმილი 2 ქულა შეიმატა. კოტე ტულუშის განწვრთნილ ქუთაისს დიდი წინააღმდეგობა გაუწია მიმდინარე სეზონში მხოლოდ 1 გამარჯვების მქონე მგზავრებმა, რომლის წევრმა ბექა წივწივაძემ გამთანაბრებელი სამქულიანი საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე გააცუდა.

არადა, ქუთაისელებმა თამაში შედეგიანად დაიწყეს და პირველი პერიოდის შემდეგ 19:13 იგებდნენ, თუმცა სწრაფი და შედეგიანი თამაშის წყალობით მგზავრებმა ვითარების გამოსწორება მოახერხეს და დიდი შესვენებისთვის 36:29 გალიდერდნენ.

მგზავრების გალიდერებას ქუთაისელებმა გუნდური თამაში დაუპირისპირეს. გიორგი ცინცაძე ხშირად იღებდა საკუთარ თავზე ინიციატივას, მაგრამ თანაგუნდელებს, თუ უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდნენ, პასებს არ უგვიანებდა და იმერული კლუბი მუდმივად კვალში ედგა მგზავრებს და წინ არ უშვებდა.

საკვანძო გამოდგა მატჩის ბოლო მეოთხედის შუაწელი, როცა 60:65 ჩამორჩენილმა ქუთაისმა 10:0 გაქცევა მოაწყო. დაწინაურებულმა ქუთაისმა დარჩენილ 4 წუთში ლიდერობის შენარჩუნება მოახერხა, თუმცა ოთარ ფხაკაძეს, ან წივწივაძეს გამთანაბრებელი რომ ჩაეგდო, ოვერტაიმი გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ...

ქუთაისელებში 18 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი ცინცაძე. 15 ქულა და 5 პასი ფაშაევმა მიითვალა. აკაკი ლომოურმა კი გამარჯვებულებს 14 ქულა შემატა. მგზავრებში 20 ქულით თავი ავთანდილ ლომინაშვილმა გამოიჩინა. 13 ქულა და 9 მოხსნა დერნელ ტეილორის ანგარიშზე დაგროვდა.

**ოლიმპი-კაკტუსი 81:82**
(20:23; 21:19; 23:18; 17:22)

გუნდებმა ერთმანეთს დიდი ბრძოლა გაუმართეს და თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში თანაბრად მიმდინარე მატჩი კაკტუსელთა ერთქულიანი გამარჯვებით დასრულდა.

თამაში კაკტუსის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა გუნდმა მალევე მოახერხა რეაბილიტირება და 8:21 ჩამორჩენის შემდეგ თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნა. პირველი პერიოდი არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა 23:20 მოიგო და ამის შემდეგ, ბოლო წამებამდე თანაბარი და გარდამავალი ბრძოლა მიმდინარეობდა.

შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთზე ოდნავ მეტი იყო დარჩენილი, კაკტუსელებმა ტაილერ უაიტისა და ირაკლი ჩლაიძის შედეგიანი გარჯის წყალობით 8-ქულიან უპირატესობას რომ მიაღწიეს – 80:72. ოლიმპი პრესინგზე გადავიდა და ამან შედეგი გამოიღო. ირაკლი მიქელაძემ სამქულიანი ჩააგდო, როგავამაც იყოჩაღა და საფინალო სირენამდე 12 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა – 81:81. ამას ოლიმპელი ლევან მასხულიას უნებლიე ჯარიმა მოჰყვა და ბექა ჩიკვილაძემ 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

დარჩენილ ათიოდ წამში ოლიმპელ მიქელაძეს გამარჯვების ბურთის ჩაგდების შანსი მიეცა, მაგრამ ფარქვეშ შეჭრილმა და მეურვეების ჩამოცილების შემდეგ ბურთი ააცილა.

კაკტუსს 24 ქულით ირაკლი ჩლაიძემ ულიდერა. 17 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა ჯონ ფლოვიესმა, ხოლო ოლიმპში 19 ქულით საუკეთესო იყო დავით როგავა.

**სოხუმი-ბათუმი 90:91**
(18:34; 23:24; 24:11; 25:22)

ამ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ 1 მოგება გახლდათ და, შესაბამისად, საინტერესო ბრძოლაც იყო მოსალოდნელი, მით უფრო, რომ სოხუმელები უკრაინელი გამთამაშებლით დიმიტრო ზაბირჩენკოთი გაძლიერდნენ, რომელიც უკრაინის წამყვან კლუბებში წლების მანძილზე სტაბილურად გამოდიოდა.

სწორედ ზაბირჩენკოს მიეცა შანსი, გამხდარიყო მატჩის გმირი, თუმც მის მიერ მატჩის საფინალო სირენის თანხლებით ნასროლი სამქულიანი მიზანს ასცდა და სოხუმი, რომელმაც შეხვედრის ბოლო წუთზე უდიდესი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, მინიმალური სხვაობით დამარცხდა.

თამაშის მსვლელობისას სოხუმი 18 ქულასაც აგებდა, თუმცა ნუგზარ ჭეიშვილისა და ვაჟა კვარაცხელიას გაწვრთნილ გუნდს ჰქონდა გამონათებები. ჯერ იყო და, პირველი ტაიმის 41:58 წაგების შემდეგ სოხუმელებმა მესამე მეოთხედი 20:4 გაქცევით დაიწყეს და ბათუმელებს 61:62 მიუახლოვდნენ, შემდეგ კი მატჩის მიწურულს სულაც წარმოუდგენელი შტურმი მოაწყვეს.

საფინალო სირენამდე 1:40 წუთით ადრე კახა ჯინჭარაძის მორიგი შედეგიანი შეტევის შემდეგ ბათუმი 89:80 დაწინაურდა. შემდეგ გუნდებმა უშედეგო შეტევები გაცვალეს და ფილიპ მილერმა სამქულიანით სოხუმელთა ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირა: 83:89. ბათუმმა მორიგი შეტევა გააცუდა და სოხუმმა რომ ბურთი მოიპოვა, დასრულებამდე 65 წამი რჩებოდა. ამ მოკლე დროში დუეინ ლათანისა და ფილიპ მილერის შედეგიანობით სოხუმელები მატჩის დასრულებამდე 9 წამით ადრე 90:89 გალიდერდნენ.

ბათუმმა სწრაფად შეუტია და ბესო ლეჟავას გარღვევა და პასი ზუსტად დააგვირგვინა კრისტოფერ ფელჩერმა – 91:90 და სოხუმს თამაშის გადასარჩენად 6.2 წამი დარჩა. ბურთი უეიდ ლათანმა მიიღო, შეტევის იმიტაცია გააკეთა და ბათუმელი დამცველების ყურადღება მიიზიდა, თუმც ბოლო მომენტში ბურთი პერიმეტრზე მარტო დარჩენილ ზაბირჩენკოს გადააწოდა. უკრაინელმა უკანახაზელმა საქართველოს სუპერლიგაში პირველი ბურთი საფინალო სირენის თანხლებით ისროლა, მაგრამ არაზუსტად...

ბათუმელებს 27 ქულით კახა ჯინჭარაძემ ულიდერა. 18 ქულა ჰქონდა კრისტოფერ ფელჩერს, ხოლო იგორ კრივცოვის ანგარიშზე 16 დაგროვდა. ორმაგი დუბლით დაასრულა მატჩი კიდევ ერთმა უკრაინელმა, ილია შემოსიუკმა, რომელმაც 13-13 ქულა-მოხსნა მიითვალა.

სოხუმელთაგან სამმაგი დუბლის ზღვარზე გაიარა დუეინ ლათანმა – 25 ქულა, 10 მოხსნა და 8 პასი. ბომბარდირი კი ფილიპ მილერი გახდა 29 ქულით.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 6 | 6 | 0 | 524-405 | 12 |
| 2.ქუთაისი | 6 | 5 | 1 | 497-460 | 11 |
| 3.რუსთავი | 6 | 4 | 2 | 469-461 | 10 |
| 4.ბათუმი | 6 | 3 | 3 | 510-502 | 9 |
| 5.კაკტუსი | 6 | 3 | 3 | 467-490 | 9 |
| 6.სოხუმი | 6 | 1 | 5 | 486-555 | 7 |
| 7.ოლიმპი | 6 | 1 | 5 | 446-450 | 7 |
| 8.მგზავრები | 6 | 1 | 5 | 423-499 | 7 |

# ზუგდიდი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა



**სიონი-დინამო ბთ 0:3**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0:1, 0:2, 0:3 ლობჯანიძე (41, 65, 76)

**სიონი:** დაუშვილი, ფოფხაძე, თოთაძე, კასრაძე, ძარია, ვასაძე (სუშკინი 73), ჟადერი, გაფრინდაშვილი, გიორბელიძე (კობახიძე 61), სიხარულიძე, ვოლკოვი (აფხაზავა 83)

**დინამო:** ტიმოფეევი, კვირკველია, სუხიასვილი, გეგეჭკორი (ჭკუასელი 68), ტვილდიანი, შონია, თარხნიშვილი, ქავთარაძე, გოგიტიძე, გორელიშვილი (ფონიავა 46), ლობჯანიძე (თევდორაძე 81)

სიონი ზედიზედ ორი მოგებული შეხვედრის შემდეგ დამარცხდა. ბოლნისელებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ბათუმის დინამოს უმასპინძლეს და 0:3 წააგეს.

გამარჯვებულთა მხრიდან ჰეტთრიკით ელგუჯა ლობჯანიძე გამოირჩა. აჭარელთა შემტევმა მეტოქის კარი 41-ე, 65-ე და 76-ე წუთებზე აიღო. ამ გამარჯვებით დინამომ წითელ ჯგუფში, როგორც მინიმუმ, მესამე ადგილი და პლეი ოფში თამაში გაინაღდა, სიონმა კი უმაღლესი ლიგის რეგულარული სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა და პლეი აუტში მიიღებს მონაწილეობას.

**საბურთალო-ზუგდიდი 3:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 გონსალვესი (34), 1:1 ზოზულია (57), 2:1 ხარაიშვილი (81), 3:1 სანტი ხარა (83)

**საბურთალო:** ქურდაძე, გრიგალაშვილი, მარგველაშვილი, ჩაბრაძე, ნადარაია, იაშვილი, ხარაიშვილი, მამუჩაშვილი (კოხრეიძე 71), ფანცულაია (ბუხაიძე 64), სანტი ხარა, გონსალვესი (ხოსე კარასკო 83)

**ზუგდიდი:** ლიტოვჩენკო, სუხომლინოვი, ქანთარია, ბეჭვაია (ჭანტურია 81), ზოზულია, ტყემალაძე, სიხარულია, სამუშია, ხოხია, ლაშხია (ჩუკვურა 64), ერმაჩენკო (ნარმანია 45)

საბურთალომ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ზუგდიდს უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა.

ანგარიში 34-ე წუთზე საბურთალოელთა ფრანგმა ლეგიონერმა, გონსალვეს ნოგეირამ გახსნა. ზუგდიდელებმა წონასწორობის აღდგენა მეორე ნახევარში მოახერხეს, 57-ე წუთზე ბექა ქურდაძის კარი დიმიტრი ზოზულიამ აიღო.

თბილისურმა კლუბმა 3 ქულის მოპოვება მატჩის მიწურულს მოახერხა. ჯერ 81-ე წუთზე გიორგი ხარაიშვილმა დააწინაურა საკუთარი გუნდი, შემდეგ კი, 83-ე წუთზე ესპანელმა, სანტი ხარამ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ამ მარცხით ზუგდიდმა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი დაკარგა, საბურთალომ კი 16 ქულა მოაგროვა და მისი ბედი ბოლო ტურში გადაწყდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 11 | 7 | 3 | 1 | 22-9 | 24 |
| 2.დინამო (ბთ) | 11 | 5 | 5 | 1 | 20-4 | 20 |
| 3.კოლხეთი | 11 | 6 | 0 | 5 | 10-17 | 18 |
| 4.საბურთალო | 11 | 4 | 4 | 3 | 16-12 | 16 |
| 5.დილა | 11 | 4 | 2 | 5 | 12-12 | 14 |
| 6.სიონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-19 | 11 |
| 7.ზუგდიდი | 11 | 2 | 0 | 9 | 5-25 | 6 |

## შედეგები

**20 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მიდლსბრო-ჩელსი .......... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-9 | 28 |
| 2.ლივერპული | 12 | 8 | 3 | 1 | 30-14 | 27 |
| 3.სიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 27-11 | 27 |
| 4.არსენალი | 12 | 7 | 4 | 1 | 25-12 | 25 |
| 5.ტოტენჰემი | 12 | 6 | 6 | 0 | 18-8 | 24 |
| 6.მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 17-14 | 19 |
| 7.ევერტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-14 | 19 |
| 8.უოტფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 |
| 9.ბორნმუთი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 10.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-12 | 14 |
| 11.ბარნლი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 14 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 13.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-19 | 13 |
| 14.ლესტერი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-20 | 12 |
| 15.მიდლსბრო | 12 | 2 | 5 | 5 | 10-13 | 11 |
| 16.კრ.პალასი | 12 | 3 | 2 | 7 | 17-21 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-23 | 11 |
| 18.ჰალი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-27 | 10 |
| 19.სანდერლენდი | 12 | 2 | 2 | 8 | 12-21 | 8 |
| 20.სუონსი | 12 | 1 | 3 | 8 | 11-22 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლიდსი-ნიუკასლი .......... 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ესპანიოლი .......... 0:1

ვალენსია-გრანადა .......... 1:1

ხიხონი-სოსიედადი .......... 1:3

ბილბაო-ვილიარეალი .......... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 12 | 9 | 3 | 0 | 34-10 | 30 |
| 2.ბარსელონა | 12 | 8 | 2 | 2 | 32-13 | 26 |
| 3.სევილია | 12 | 7 | 3 | 2 | 22-17 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 6 | 4 | 2 | 19-8 | 22 |
| 5.სოსიედადი | 12 | 7 | 1 | 4 | 21-13 | 22 |
| 6.ატლეტიკო | 12 | 6 | 3 | 3 | 25-11 | 21 |
| 7.ბილბაო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-13 | 20 |
| 8.ეიბარი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-15 | 18 |
| 9.სელტა | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 17 |
| 10.ლას პალმასი | 12 | 4 | 4 | 4 | 21-20 | 16 |
| 11.მალაგა | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 12.ესპანიოლი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-17 | 15 |
| 13.ბეტისი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-22 | 14 |
| 14.ალავესი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-16 | 13 |
| 15.ვალენსია | 12 | 3 | 2 | 7 | 16-22 | 11 |
| 16.დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 10-19 | 10 |
| 17.ლეგანესი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-22 | 10 |
| 18.ხიხონი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-25 | 9 |
| 19.ოსასუნა | 11 | 1 | 4 | 6 | 12-21 | 7 |
| 20.გრანადა | 12 | 0 | 5 | 7 | 10-26 | 5 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი .......... 2:2

ვერდერი-აინტრახტი .......... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 11 | 8 | 3 | 0 | 23-9 | 27 |
| 2.ბაიერნი | 11 | 7 | 3 | 1 | 24-7 | 24 |
| 3.დორტმუნდი | 11 | 6 | 3 | 2 | 26-12 | 21 |
| 4.კიოლნი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-8 | 21 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 11 | 5 | 6 | 0 | 20-13 | 21 |
| 6.ჰერტა | 11 | 6 | 3 | 2 | 17-10 | 21 |
| 7.აინტრახტი | 11 | 6 | 3 | 2 | 16-9 | 21 |
| 8.მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 9.ლევერკუზენი | 11 | 5 | 1 | 5 | 18-18 | 16 |
| 10.ფრაიბურგი | 11 | 5 | 0 | 6 | 15-20 | 15 |
| 11.შალკე | 11 | 4 | 2 | 5 | 14-12 | 14 |
| 12.აუგსბურგი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 13.გლადბახი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-17 | 12 |
| 14.ვოლფსბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-14 | 9 |
| 15.დარმშტადტი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-21 | 8 |
| 16.ვერდერი | 11 | 2 | 1 | 8 | 13-29 | 7 |
| 17.ინგოლშტადტი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-21 | 5 |
| 18.ჰამბურგი | 11 | 0 | 3 | 8 | 6-25 | 3 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-ფიურტი .......... 2:1

ზ.პაული-ფორტუნა .......... 0:1

უნიონი-შტუტგარტი .......... 1:1

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-სასუოლო .......... 3:2

ატალანტა-რომა .......... 2:1

ბოლონია-პალერმო .......... 3:1

კროტონე-ტორინო .......... 0:2

ემპოლი-ფიორენტინა .......... 0:4

ლაციო-ჯენოა .......... 3:1

მილანი-ინტერი .......... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 11 | 0 | 2 | 28-9 | 33 |
| 2.რომა | 13 | 8 | 2 | 3 | 30-14 | 26 |
| 3.მილანი | 13 | 8 | 2 | 3 | 21-17 | 26 |
| 4.ლაციო | 13 | 7 | 4 | 2 | 26-14 | 25 |
| 5.ატალანტა | 13 | 8 | 1 | 4 | 21-14 | 25 |
| 6.ნაპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-14 | 24 |
| 7.ტორინო | 13 | 6 | 4 | 3 | 29-16 | 22 |
| 8.ფიორენტინა | 12 | 5 | 5 | 2 | 18-11 | 20 |
| 9.ინტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-16 | 18 |
| 10.კიევო | 13 | 5 | 3 | 5 | 13-14 | 18 |
| 11.სამპდორია | 13 | 5 | 3 | 5 | 16-19 | 18 |
| 12.ჯენოა | 12 | 4 | 4 | 4 | 14-14 | 16 |
| 13.ბოლონია | 13 | 4 | 4 | 5 | 14-19 | 16 |
| 14.კალიარი | 13 | 5 | 1 | 7 | 20-30 | 16 |
| 15.უდინეზე | 13 | 4 | 3 | 6 | 17-21 | 15 |
| 16.სასუოლო | 13 | 4 | 1 | 8 | 16-25 | 13 |
| 17.ემპოლი | 13 | 2 | 4 | 7 | 6-17 | 10 |
| 18.პესკარა | 13 | 1 | 4 | 8 | 9-23 | 7 |
| 19.პალერმო | 13 | 1 | 3 | 9 | 10-26 | 6 |
| 20.კროტონე | 13 | 1 | 2 | 10 | 10-26 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-პერუჯა .......... 2:2

ნოვარა-ფროზინონე .......... 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

გენგამი-ბორდო .......... 1:1

მარსელი-კაენი .......... 1:0

სტ.ეტიენი-ნიცა .......... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 13 | 10 | 2 | 1 | 25-9 | 32 |
| 2.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 39-15 | 29 |
| 3.პსჟ | 13 | 9 | 2 | 2 | 26-7 | 29 |
| 4.ლიონი | 13 | 7 | 1 | 5 | 21-16 | 22 |
| 5.გენგამი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-13 | 22 |
| 6.რენი | 13 | 6 | 3 | 4 | 14-17 | 21 |
| 7.ბორდო | 13 | 5 | 5 | 3 | 16-14 | 20 |
| 8.ტულუზა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-12 | 19 |
| 9.სტ.ეტიენი | 13 | 4 | 6 | 3 | 14-11 | 18 |
| 10.ანჟე | 13 | 5 | 3 | 5 | 12-12 | 18 |
| 11.მარსელი | 13 | 4 | 5 | 4 | 13-13 | 17 |
| 12.მეცი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-22 | 17 |
| 13.მონპელიე | 13 | 3 | 6 | 4 | 20-27 | 15 |
| 14.დიჟონი | 13 | 3 | 5 | 5 | 16-18 | 14 |
| 15.კაენი | 13 | 4 | 1 | 8 | 10-22 | 13 |
| 16.ბასტია | 13 | 3 | 3 | 7 | 10-13 | 12 |
| 17.ნანტი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-18 | 12 |
| 18.ნანსი | 13 | 3 | 3 | 7 | 8-19 | 12 |
| 19.ლილი | 13 | 3 | 1 | 9 | 10-19 | 10 |
| 20.ლორიანი | 13 | 2 | 1 | 10 | 9-23 | 7 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ფეიენოორდი-ზვოლე .......... 3:0

აიაქსი-ნაიმეგენი .......... 5:0

ტვენტე-უტრეხტი .......... 1:1

როდა-ალკმაარი .......... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრასნოდარი-ურალი .......... 3:0

სპარტაკი-ამკარი .......... 1:0

ზენიტი-კრილია .......... 3:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლოზანა .......... 2:0

იანგ ბოიზი-სიონი .......... 4:3

ლუცერნი-ლუგანო .......... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რაპიდი .......... 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბარეგემი-ანდერლეხტი .......... 3:1

მეხელენი-სტანდარდი .......... 2:1

შარლერუა-ლოკერენი .......... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-გენჩლერი .......... 0:2

ქაშიმფაშა-ქარაბუქი .......... 2:2

ფენერბახჩე-გალათასარაი .......... 2:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სპარტა-კარვინა .......... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ნეცეჩა .......... 1:3

ლეხი-სლასკი .......... 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-ვოლინი .......... 2:0

ვორსკლა-დნიპრო .......... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ვიბორგი .......... 2:1

ოდენსე-ბრონდბიუ .......... 1:0

სონდერიისკე-მიდტიულანდი .......... 1:0

**ნორვეგია. თასი**

**ფინალი**

რუსენბორგი-კონსვინგერი .......... 4:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ვის სჭირდება ლოგოპედი?

ეკა ირემაშვილი

ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ბავშვები არ ლაპარაკობენ. საუბარი და თანატოლებთან თამაში XXI საუკუნეში კომპიუტერმა და ტელევიზორმა ჩაანაცვლა, რის გამოც აგვიანებენ საუბრის დაწყებას ან სწორად ვერ მეტყველებენ.

ვის სჭირდება ლოგოპედი და რა ასაკიდან უნდა მიექცეს ბავშვის მეტყველებას ყურადღება, ამის შესახებ ლოგოპედი **ნინო გაბაშვილი** გვესაუბრა:

– ლოგოპედი ეს არის სპეციალისტი, იგივე მეტყველების თერაპევტი, რომელიც მუშაობს მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვებთან. ეს პრობლემები მრავალგვარია.

არსებობს არტიკულაციის სპეციფიკური დარღვევები, როდესაც ბავშვი ამახინჯებს, ტოვებს, ამატებს ან ანაცვლებს ბგერებს.

არსებობს მეტყველების სპეციფიკური დარღვევა, კერძოდ იმპრესიული და ექსპრესიული მეტყველების დარღვევა. პირველ შემთხვევაში ბავშვს არ აქვს მისადმი მიმართული მეტყველების გაგების უნარი, მეორე შემთხვევაში კი – შეტყობინების გადაცემის და აზრის გამოხატვის უნარი.

მეტყველების მოქნილობის დარღვევა, ენის ბორძიკი. ამ დროს ხდება მარცვალთა რიგის გამეორება ან შეყოვნება მეტყველების დაწყებისას, რაც გამოწვეულია სამეტყველო აპარატის კრუნჩხვითი მდგომარეობით.

სოციალური კომუნიკაციის დარღვევა, როდესაც ბავშვებს უჭირთ ურთიერთობა სხვებთან, გამოიხატება მეტყველების, ჟესტების, მიმიკის, მზერის გამოყენების პრობლემებით. ასეთ დროს ბავშვი ვერ ასხვავებს ვისთან საუბრობს, უფროსთან, თანატოლებთან თუ მასწავლებელთან.

***– რას უნდა მიაქციონ ყურადღება მშობლებმა?***

– მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე ყალიბდება მავნე ჩვევები. ეს არის ტუჩების, ლოყების, ენის, თითის წოვა. ამას თუ დროულად არ მიექცა ყურადღება და სისტემატური ხასიათი მიიღო, მომავალში აუცილებლად პრობლემებს წარმოქმნის. ასეც შემთხვევაში ყალიბდება არასწორი თანკბილვა, გუმბათოვანი სასა, ზიანდება ენის კუნთები.

***– რამდენად მავნეა საწოვარა?***

– დიდი ხნით საწოვარას წოვაც არ არის მიზანშეწონილი. რაც მალე დაანებებს ბავშვი თავს საწოვარას, უკეთესია. მიკვირს მშობლების, რომლებიც აძლევენ პატარას საწოვარას, ოღონდ გაჩერდეს. არ შეიძლება ამის გაკეთება. არანაკლები პრობლემაა პირღია ძილი.

***– რით ვუშველოთ?***

– უნდა გაიჭირვოთ მაქსიმუმ ერთი თვე. თუ დაინახეთ, რომ ბავშვს პირღიას სძინავს, მაშინვე დაუხურეთ პირი. პატარებს ძირითადად სულ სძინავთ და ძილში იზრდებიან. როცა ძილში ენას, ლოყას, ტუჩებს წოვს, ან თითს იდებს პირში, მიეცით საწოვარა, მაგრამ მალევე გამოუღეთ. ეს მავნე ჩვევები, მათ შემდგომში დიდი პრობლემების წინაშე დააყენებს.

***– ამბობენ, დაბლენდერებული საკვები არასასურველიაო. რატომ?***

– დაბლენდერებული საკვებით ხანგრძლივი დროით კვება იწვევს სალეჭი კუნთების მოდუნებას. მშობლები პირიქით, ბავშვებს უნდა აძლევდნენ მყარ საკვებს. დაბლენდერებული კვების შედეგია ბგერათწარმოთქმის დარღვევები, ხშირია ნერწყვდენა, რასაც ხშირად გამოკვლევის გარეშე ჭიას აბრალებენ. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვებს უჭირთ მყარ საკვებზე გადასვლა და ეს მათ ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს.

***– ენის ბორძიკი გენეტიკურია?***

– არა მხოლოდ. სასაუბროდ დიდი თემაა. გამოყოფენ ენაბორძიკობის გამომწვევი მიზეზების ორ ჯგუფს: მიდრეკილების მქონე მიზეზთა და მაწარმოებელ მიზეზთა ჯგუფს. აქ შედის მშობლების მძიმე ნევროპათიული მდგომარეობა, ასევე ბავშვის ნევროპათიული თავისებურებები – ენურეზი, ღამის შიში, გაძლიერებული გაღიზიანებადობა, ფსიქიკური და სოციალური მიზეზები და სხვა. იმუნიტეტდაქვეითებული ბავშვებიც კი არიან განწყობილები ამისთვის, უბრალოდ, პატარა გაღიზიანება სჭირდებათ – ოდნავი იმპულსი, რომ ესა თუ ის ნაკლი გამოჩნდეს.

***– რა ასაკია მაქსიმალური, როცა უკვე ძალიან დაგვიანებულია?***



– მეტყველების ნაკლოვანებათა წარმოშობას ხელს უწყობს მავნე შინაგანი-ენდოგენური და გარეგანი-ეგზოგენური ფაქტორები. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ ნაყოფის განვითარებაზე, იწვევენ პათოლოგიებს მუცლადყოფნის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

რადგან ეს რუბრიკა განკუთვნილია მშობლებისთვის, მივმართავ მომავალ დედებს. მნიშვნელოვანია, ორსული როგორ უვლის თავს, ამაში მარტო კვება არ იგულისხმება. მავნე ქიმიური საშუალებების გამოყენება, როცა ორსული ხეხავს ჟელეთი, ფხვნილით, ცხელი წყლით და ამ ოხშივარს სუნთქავს. თქვენთან ერთად თქვენი ნაყოფიც სუნთქავს. მოერიდეთ იმ ადგილს, სადაც ჟანგბადის ნაკლებობაა. ხანგრძლივი ჰიპოქსიური მდგომარეობა იწვევს ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევას და იმ ნერვული უჯრედების დაღუპვას, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მეტყველებაზე, ყურადღებასა და ქცევაზე. დღენაკლულ ბავშვებში ჰიპოქსია მოიცავს ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებს, ხოლო თავის ტვინის ქერქის დაზიანება თავის ტვინის იოლი დისფუნქციის – მუშაობის მოშლის საფუძველია.

როგორც კი შეამჩნევს მშობელი, რომ რაღაც პრობლემა აქვს მის შვილს, მაშინვე უნდა წაიყვანოს სპეციალისტთან. არ უნდა ელოდოს 5 და 6 წლის ასაკს. არ უსმინოს „კეთილისმსურველებს“ და მიიყვანოს სპეციალისტთან, რადგან ის არის კომპეტენტური და ის ეტყვის, საჭიროა მუშაობის დაწყება თუ არა.

ყველამ ვიცით, რომ 2 წლის ასაკში ბავშვს უნდა ჰქონდეს მოკლე ფრაზები „მომეცი პური“, „მომეცი ბურთი“ და ა.შ. ამ ასაკში ბავშვი თუ არაფერს ამბობს, ეს ხომ ნორმიდან გადახრაა? რას ველოდებით? იმ იმედით, რომ მეტყველებას დაიწყებს, მშვიდად უნდა ვიყოთ?

***– ხშირად უთქვამთ, რომ ბავშვს ვეძახი და არ მაგონებს. ეს რისი ბრალია?***

– როცა ბავშვს ეძახი და არ გაგონებს, აუცილებლად სმენა უნდა შემოწმდეს. თუ ეს გამოირიცხა, მივდივართ იქამდე, რომ ბავშვს არ აქვს მეტყველების გაგების უნარი. ასეთ შემთხვევაში აღარ ველოდებით არაფერს და მიგვყავს სპეციალისტთან. ზოგი სიჯიუტეს აბრალებს, თუმცა ამის შემოწმებაც ძალიან ადვილია.

***– დღეს როგორია ტენდენცია ლოგოპედიური პრობლემების?***

– სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში იმატა მეტყველების პრობლემის მქონე ბავშვების რაოდენობამ. ამ პრობლემის გამომწვევი ბევრი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთია მშობლების მოჩლექით ლაპარაკი, რაც არაფრით არ შეიძლება, რადგან მერე ბავშვიც ასევე საუბრობს. მოფერება თუ გინდათ, ხელი გადაუსვით, ჩაეხუტეთ და „საყვარელო, გენაცვალე“ უთხარით გამართულად.

თუ შეატყვეთ, რომ ბავშვი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ამბობს, მაშინვე მიაწოდეთ ინფორმაცია, თუ თქვა ბურთი, იქვე უთხარით, რომ ბურთი მრგვალია და ბურთი დაგორავს. წლინახევრის ასაკში ბავშვის აქტიური ლექსიკონი შეიცავს დაახლოებით 50-70 სიტყვას, ძირითადი ნაწილი არის არსებითი სახელები – სათამაშოები, ნაცნობი საგნები, ადამიანთა სახელები, ზედსართავი სახელები – დიდი, პატარა, იშვიათად ზმნები და ნაცვალსახელები. ორი წლის ბოლოსთვის ბავშვის მიერ მოხმარებული სიტყვათა რაოდენობა მერყეობს 100-დან 300 სიტყვამდე.

***– ბავშვის ამეტყველების პროცესში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ძიძას.***

– მხოლოდ იმიტომ, რომ დედა გავიდეს სამსახურში, ყურადღება არ ექცევა როგორ მეტყველებს ძიძა. ლექციებს რომ ვკითხულობ, სულ ვამბობ, ჯერ კიდევ მე-2 საუკუნეში რომის იმპერიის ორატორი და ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსი მარკ ფაბიი კვინტილიანი საუბრობდა ბავშვის ჯანმრთელი სამეტყველო გარემოს არსებობის და მეტყველებაში არსებული დეფექტის დროულად აღმოფხვრის შესახებ. ის წერდა, „ყურადღება უნდა მივაქციოთ ძიძების მეტყველებას, კილოს... ბავშვი ისმენს მის მეტყველებას და ცდილობს მიბაძოს მას და ასევე წარმოთქვას... ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ბავშვი ადრეულ ასაკში არ მიეჩვიოს დამახინჯებულ მეტყველებას და კილოს, რაც შემდგომში გამოსწორებას მოითხოვს.“ XXI საუკუნეში კი საქართველოში რა ხდება?

მშობლებს ხშირად უნდათ რუსულენოვანი ძიძა, რომ ბავშვი რუსულსაც ისწავლისო. ნებისმიერი ეროვნების ბავშვმა მეტყველება ჯერ უნდა გამართოს თავის მშობლიურ ენაზე და მერე ვასწავლოთ სხვა ენები. ერთ ბგერასაც თუ ამახინჯებს, ისიც კი გავუსწოროთ და მერე ვასწავლოთ მეორე ენა.

***– კომპიუტერი რა კავშირშია მეტყველებასთან?***

– პირდაპირ კავშირშია. ლოგიკური მსჯელობის უნარს უკარგავს ბავშვს კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა. ყველაფერს გაგიკეთებს კომპიუტერში, მაგრამ მერე რამე რომ ჰკითხოთ, ლოგიკურად ვერ გადმოგცემს. მინიმუმამდე დავიყვანოთ კომპიუტერის და ტელეფონის გამოყენება და მაქსიმალურად ვესაუბროთ ბავშვებს.

ხშირად ბავშვები მიჰყავთ სკოლაში ბგერადარღვევებით, რაც არ შეიძლება. სკოლაში კითხვას, წერას იწყებენ, ბავშვი როგორც წარმოთქვამს, ისე წაიკითხავს და ისე დაწერს, ამას კი სხვა პრობლემები მოყვება. მშობლებმა არ უნდა დატვირთონ ბავშვები ზედმეტი ლიტერატურით, ასაკისთვის შესაბამისი ლექსები და მოთხრობები უნდა უკითხონ და ასწავლონ.

მშობლებთან ინტენსიური შეხვედრებიც არ იქნებოდა ურიგო. მათ მიერ ბავშვზე დაჟინებული მოთხოვნა ბგერის გამოსწორების, არაფრით არ შეიძლება, ეს დაჟინება და ჩხუბი, მით უმეტეს, ენაბორძიკობის დროს, ფსიქიკაზე მოქმედებს და შეიძლება ბავშვმა მეტყველება სულ აიკრძალოს. ამიტომაც მიმართეთ სპეციალისტს, რადგან ბგერის გამოსწორება მხოლოდ მისი პრეროგატივაა.

***– ხშირია შემთხვევები, რომ ბავშვს ასალაპარაკებლად ენის ლაგამს ჩაუჭრიან ხოლმე.***

– ხშირია ენის მოკლე ლაგამი, რის გამოც ენას უჭირს მოძრაობა, მით უმეტეს, ზემოთ აწევა. მითია, რომ თუ ავჭრით ლაგამს, ბავშვი დაიწყებს მეტყველებას. ენის მოკლე ლაგამი მხოლოდ და მხოლოდ ბგერათწარმოთქმას ამახინჯებს და უმეტყველობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. თუ მოკლეა ლაგამი, ლოგოპედი ვარჯიშებით, მასაჟით ასწორებს ამ ნაკლს.

## კალეიდოსკოპი

# ავსტრალიაში კნუტმა პატრონი შხამიანი გველისგან გადაარჩინა



ავსტრალიის ქალაქ პერტში ოთხი თვის კნუტმა თავისი პატრონი გააფრთხილა, რომ მის ფეხსაცმელში შხამიანი გველი იმალებოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

აივენ მაკნამარამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ყურადღება მიიქცია იმან თუ როგორ თვალმოუცილებლად მისჩერებოდა მისი კნუტი საძინებელი ოთახის კუთხეს. მამაკაცი შეეცადა გაეგო, თუ ასე რამ დააინტერესა კნუტი და ფეხსაცმლიდან ამოყოფილი გველის თავი შენიშნა.

ქვეწარმავალი კარადის ქვეშ შეძრომას ცდილობდა, მაგრამ მაკნამარამ ის მეორე ფეხსაცმლით შეაჩერა, შემდეგ მეგობარ გოგონას დაუძახა და მათ ერთობლივი ძალისხმევით მოახერხეს, რომ გველი პლასტმასის კონტეინერში მოეთავსებინათ. შემდეგ ქვეწარმავალი ქუჩაში გაუშვეს.

– სხვათა შორის, ეს პირველი გველი არ არის, რომელიც სახლში დავიჭირე, – განაცხადა მამაკაცმა, – მაგრამ ამაში თავად ვარ დამნაშავე, ვინაიდან შემოსასვლელ კარს არ ვკეტავ.

სავარაუდოდ, ფეხსაცმელში ახალგაზრდა ვეფხვისებური გველი იჯდა. ეს ავსტრალიაში გავრცელებული სახეობაა და სიგრძეში ორმეტრამდე იზრდება. მისი ნაკბენი კი არცთუ იშვიათად ლეტალური შედეგით მთავრდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი



22 ნოემბრისათვის

**ვერძი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **კურო** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სასწრაფოდ დაივიწყეთ. **ტყუპები** – ელოდეთ მსხვილ შენაძენს. კარგი პერიოდია ოჯახურ ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. შეგიძლიათ, რემონტიც წამოიწყოთ. **კირჩხიბი** – ისწავლეთ ემოციების გაკონტროლება. დაფიქრდით, ყველაფერში მართალი ხართ? **ლომი** – ზღვარგადასული პატივმოყვარეობა სიკეთეს არ დაგაყრით. საჭიროების შემთხვევაში რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **სასწორი** – დიდია უსიამოვნო სიურპრიზების ალბათობა. თქვენი გეგმები არავის გაანდოთ. **ღრიანკალი** – დროა, სიტუაცია შეიცვალოთ. გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, დაიტვირთეთ ფიზიკურად. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **თხის რქა** – რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. **მერწყული** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **თევზები** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქალაქი მაროკოში, სადაც განთავსებულია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ყარაუნის უნივერსიტეტი; 2. მდინარე ციმბირში; 3. კანონებში არსებული წინააღმდეგობები; 4. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. პოლონური ხალხური ცეკვა; 8. ფულის ერთეული თურქეთში; 9. თავხედური გულახდილობა; 10. ფერადი ლაზერის გამომგონებელი, „ათასწლეულის პრემიის“ ლაურეატი, იაპონური წარმოშობის ამერიკელი ფიზიკოსი; 12. განუხორციელებელი იმედი, ოცნება; 13. თეთრი თიხა, ჭურჭლის დასამზადებლად; 15. დადუღებული ყურძნის წვენი.

**თარაზულად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 6. წითელი ფერის ტკბილი იტალიური სადესერტო ღვინო; 7. ბუღალტერიაში, სხვაობა შემოსალისა და გასავლის ჯამებს შორის; 10. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 11. „ტურ-დე-ფრანსის“ სამგზის გამარჯვებული ბრიტანელი ველომრბოლელი; 13. საღებავების, ლაქების დასამზადებლად გამოყენებული მოხარშული ზეთი; 14. პატარა ბაღი; 16. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 17. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 18. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 3. ქაბაბი; 8. კათეტი; 9. ირაო; 14. ირანი; 15. მაზეპა; 17. რადა; 20. ნიბლია; 22. ტანკი; 23. რომანი; 25. პაი; 26. იოდი; 27. ოსტი; 28. მანდარინი.

**შვეულად:** 1. ბაია; 2. ინა; 3. ქალამანი; 4. ბი; 5. კალაპოტი; 6. მესა; 7. მინდორი; 10. აზრა; 11. გარიბალდი; 12. პირამიდა; 13. ქალა; 16. მარინა; 18. ანისული; 19. პრინცი; 21. ისარა; 24. ნიმბი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნივთი; 2. აბანო; 3. ვინ; 4. ვა; 5. სან; 6. ერა; 7. რო; 8. ეტი; 9. ბარაბა; 10. იდილია; 11. რადა; 12. დაფნია; 13. რცხილა; 14. ბირთვი; 15. ფასი; 16. ხარისხი; 17. მის; 18. მონა; 19. ალიბი; 20. კვირა; 21. და; 22. სამანი; 23. ლემპირა; 24. ამიდოლი; 25. მი; 26. საკე; 27. სიდრი; 28. ტრაგედია; 29. პიკნიკი; 30. კეგლი; 31. იკაროსი; 32. პირამიდა.

**სურათებზე:** პატრიცია ჰიტონი; სამი ჰედირა.

# თამრიკო ჭოხონელიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან




ანსამბლ „მზიურის" ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მომღერალ თამრიკო ჭოხონელიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან. საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით, 15 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თამრიკო ჭოხონელიძის საზეიმო საღამო და ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები, თამრიკო ჭოხონელიძის მომღერალი დები, მისი კოლეგები და ანსამბლ „მზიურის" წევრები.

# დათუნა მგელაძეს ახალი კლიპი აქვს



– „გირჩევ გაიღიმო!" – ასე ეწოდება დათუნა მგელაძის ახალ სიმღერას, რომელზეც მომღერალმა დუეტი ჩაწერა და კლიპიც გადაიღო.

სიმღერას ახალგაზრდა მომღერალი რუსა სერგიასთან ერთად ასრულებს. დუეტი მომღერლებისთვის კომპოზიტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა დაწერა, არანჟირება და ტექსტი კი აჩი ვანიშვილს, იგივე რეპერ ძვალს ეკუთვნის.

ახალ დუეტზე კლიპი რეჟისორმა დათო შანავამ გადაიღო. ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა, მას ათასობით ნახვა და მოწონება აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# საქართველომ „საბავშვო ევროვიზია" მოიგო

საქართველო რეკორდსმენია. საბავშვო ევროვიზია ჩვენმა ქვეყანამ უკვე მესამედ მოიგო. ჯგუფების „ბზიკების" და „ქენდის" შემდეგ, მარიამმა საქართველო ისევ ლიდერად აქცია.

10 წლის მარიამ მამადაშვილმა პირველობა არავის დაუთმო და გიგა კუხიანიძის სიმღერით „მზეო" 239 ქულით გამარჯვება მოიპოვა.

მეორე ადგილზე სომხეთის წარმომადგენელი გავიდა 232 ქულით, ხოლო მესამე ადგილი იტალიელმა დაიკავა 209 ქულით.

წელს საბავშვო ევროვიზია მე-14-ედ ჩატარდა და მას მალტის დედაქალაქმა ვალეტამ უმასპინძლა. წელს კონკურსში 17 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მარიამი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ წინაშესარჩევ კონკურსზე კომპეტენტურმა ჟიურიმ შეარჩია. გოგონა წლებია ამერიკაში ცხოვრობს და ის საქართველოში სპეციალურად ამ კონკურსში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა.

საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ, მარიამს კონკურსის მთავარი ჯილდო გასული წლის გამარჯვებულმა გადასცა.



ქართველმა კონკურსანტმა პირობა დადო, რომ საკონკურსო სიმღერას კიდევ ერთხელ იმღერებდა, თუმცა ემოციები ვერ შეიკავა და სიმღერის გაგრძელება ვერ შეძლო. მარიამს სიმღერის შესრულებაში ევროვიზიის კონკურსანტები დაეხმარნენ და გამარჯვებული სიმღერა სცენაზე 17-ვე ქვეყნის წარმომადგენელმა შეასრულა.

# რუსთაველის იუბილე ერმიტაჟში აღინიშნა



„რუსთაველის ეპოქა ერმიტაჟში" – ასე უწოდეს საღამო-კონცერტს მისმა ორგანიზატორებმა, რომელიც დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა.

2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. ამ თარიღს „ერმიტაჟმა" საგანგებო ფესტივალი მიუძღვნა, რომელიც ერმიტაჟის თეატრში გაიმართა.

საღამო სახელმწიფო ერმიტაჟის გენერალურმა დირექტორმა პიოტროვსკიმ მისასალმებელი სიტყვით გახსნა, საღამოზე შეკრებილ სტუმრებს კი ტელეჩართვით თბილისიდან კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე მიესალმა.

ჩართვისას უძველესი ხელნაწერები წარმოადგინეს ცენტრის თანამშრომლებმა. რუსთაველის ეპოქის ძეგლების შესახებ ისაუბრა ერმიტაჟის თანამშრომელმა, იაროსლავა ბილინკინამ.

საღამოს დასასრულს კი გაიმართა კონცერტი, რომელიც თბილისიდან მიწვეულმა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „დიდგორმა" გამართა. ანსამბლმა შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა ამ საიუბილეო დღისადმი მომზადებული კონცერტი „მე რუსთაველი", რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა და აღაფრთოვანა შეკრებილი საზოგადოება.

შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ტრადიციული საეკლესიო საგალობლები. კონცერტზე აჟღერდა ხალხური სიმღერები, რომლებშიც გამოყენებულია ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან".

## სპორტი

# ენდი მარეიმ წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო



შოტლანდიელმა ჩოგბურთელმა ენდი მარეიმ სეზონი ტრიუმფალურად დაასრულა. მარეიმ წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო ლონდონში და ოფიციალურად მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა.

სიმბოლურია, რომ ენდიმ ფინალში თავისი მთავარი მეტოქე ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა, თან ეს ორ სეტში გააკეთა 6:3, 6:4.

ჯოკოვიჩი ბოლო რამდენიმე თვე არცთუ დამაჯერებელ ჩოგბურთს აჩვენებდა და ერთ-ერთ ინტერვიუში მან აღიარა, რომ ჩოგბურთის თამაში ცოტათი მობეზრდა კიდეც. როგორც ჩანს, ნოვაკი მართალს ამბობდა, რადგან მან მარეის საშუალება მისცა, რეიტინგში პირველ ადგილზე გადასულიყო.

# გონსალო იგუაინმა ტრავმა მიიღო



იუვენტუსის ფორვარდმა გონსალო იგუაინმა პესკარასთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

იგუაინს მუხლის მცირე დაზიანება აქვს და ამის გამო ის დაახლოებით ერთი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გონსალო სევილიასთან შეხვედრას გამოტოვებს, რომელიც 22 ნოემბერს გაიმართება.

იგუაინი წლევანდელ სეზონს საკმაოდ მაღალ დონეზე ატარებს და 17 შეხვედრაში მის ანგარიშზე 9 გატანილი გოლია.

შეგახსენებთ, რომ გონსალო იუვენტუსს სეზონის დასაწყისში შეუერთდა და მის ტრანსფერში იუვემ 80 მილიონი ევრო გადაიხადა.

# ლიონელ მესი სელტიკთან ითამაშებს



ბარსელონას არგენტინელმა ლიდერმა ლიონელ მესიმ მალაგასთან შეხვედრა გამოტოვა და ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო. მესი მცირე დისკომფორტს გრძნობდა, ამიტომ ლუის ენრიკემ არ გარისკა და ლეო მალაგასთან დაასვენა.

ამჟამად მესი სრული დატვირთვით ვარჯიშობს, ამიტომ ის სელტიკის წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს.

სელტიკთან შეხვედრა 23 ნოემბერს გლაზგოში გაიმართება და ბარსელონას კარგი შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური უკვე ამ მატჩში დაიბევოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ფაჩულიას და გოლდენ სტეიტის მორიგი გამარჯვება

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ოკლენდელები მილუოკიში ზაზა ფაჩულიას ყოფილ კლუბ, ბაქსს შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 124:121 იმარჯვეს.

შედარებით თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ ოკლენდელებმა მესამე პერიოდი 34:26 მოიგეს, მასპინძლები 10 ქულით ჩამოიტოვეს და თითქოს გამარჯვებაც ჯიბეში ჰქონდათ, მაგრამ მილუოკიმ ბოლომდე იბრძოლა და ვითარება ბოლო წუთებზე უკიდურესად დაძაბა.

დასრულებამდე 2:32 წუთით ადრე ჯაბარი პარკერმა ე.წ. ენდ-ვანი მიითვალა და მილუოკი სტუმრებს 120:122 მიუახლოვდა. ამის შემდეგ მასპინძლებს არაერთი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მირზა ტელეტოვიჩმა და იანის ანტეტოკუმბომ ყველა სროლა ააცილეს. თავის მხრივ ოკლენდელებიც სცოდავდნენ და ისე გავიდა 2 წუთზე მეტი, ბურთი არ ჩავარდნილა.

საკვანძო მომენტი იყო საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე, როცა ტონი სნელის პასი დრეიმონდ გრინმა ჩაჭრა და ანტეტოკუმბო კლეი ტომპსონზე დაჯარიმდა. გოლდენ სტეიტის სნაიპერმა ორივე საჯარიმო ჩააგდო, სტუმრები 124:120 დააწინაურა და ამით გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია.

ქართველმა ცენტრმა, რომელმაც მილუოკიში ნბა-ში თავისი რიგით მე-2, მე-11 და მე-12 სეზონები გაატარა, მოედანზე 17 წუთი დაჰყო და ფარზე დომინირებით გოლდენსტეიტელთა გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო.

ზაზა სასტარტო ხუთეულში გახლდათ და უფრო დაცვით, შეტევაში კი გამოზომილი პასებით გამოირჩა. სროლის სიზუსტე კი ცუდი პროცენტული მაჩვენებლით ჰქონდა. ზაზამ 7-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულას 10 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა.

მომდევნო შეხვედრა ფაჩულიას გუნდს ისევ სტუმრად, ამჯერად ინდიანა პეისერსთან ელის.

# საქართველოს საკალათბურთო ნაკრები დღეს ევრომეტოქეებს გაარკვევს



ფიბა-მ ევრობასკეტ 2017-ის კენჭისყრამდე განთესვის კალათები გამოაქვეყნა. ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 24 გუნდი 6 კალათაში განითესა. შესაბამისად, თითოეულში 4 ნაკრები მოხვდა და დღეს, სტამბოლში დაგეგმილ კენჭისყრაზე ტურნირის მონაწილე გუნდები ჯგუფებში განაწილდებიან.

წინანდელის მსგავსად, 2017 წლის ჩემპიონატსაც 4 ქვეყანა მასპინძლობს. შესაბამისად, თითო ჯგუფი თითო ქყვეყანაში – თურქეთში, ისრაელში, რუმინეთსა და ფინეთში ითამაშებს. ისევე, როგორც 2 წლის წინ, მასპინძლებმა ახლაც პარტნიორი ქვეყნები აირჩიეს, რომლებიც, ცხადია, კენჭისყრაში აღარ მიიღებენ მონაწილეობას.

ისრაელმა ლიტვა აირჩია, რუმინეთმა – უნგრეთი, თურქეთმა – რუსეთი, ხოლო ფინეთმა – ისლანდია. თანამასპინძლად არჩეული 4 ნაკრებიდან 2 ჩვენი განთესვის კალათიდანაა. განთესვის მეოთხე კალათაში საქართველოსთან ერთად რუსეთი, სლოვენია და უნგრეთი მოხვდნენ. რაკი რუსეთი თურქეთმა აირჩია, ხოლო უნგრეთი რუმინეთმა, საქართველოს ნაკრების ამ ქვეყნების ჯგუფებში მოხვედრა გამოირიცხა. ანუ დღევანდელ კენჭისყრაზე საქართველო ან ისრაელის ჯგუფში აღმოჩნდება, ან – ფინეთისაში.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები შესარჩევი ჯგუფის მოგების შედეგად გავიდა და ამის გამო აღმოჩნდა მე-4, საკმაოდ ძლიერ განთესვის კალათაში. შესაბამისად, ჩვენს შესარჩევ ჯგუფში მეორეზე გასული მონტენეგრო კი მე-5 კალათაშია და შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზეც, რომელიც 2017 წლის 31 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე გაიმართება, ჩვენი მეტოქე იყოს.

ევრობასკეტ 2017-ის კენჭისყრა, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც დაესწრება, თურქეთის ქალაქ სტამბოლში თბილისის დროით 18:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# პროგრამა

სამშაბათი
22 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "ფრანკლინი და ბეში" 07.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 08.00 "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ტრიუმფი 12.20 მხ/ფ "ბედნიერი გილმორი" (ა.სენდლერი) 15.00 "X სტუდია" 16.25 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 18.55 ფეხბურთი. საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი. 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 დ/ფ "თოფ- გიარი" 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი 01.40 საფეხბურთო მიმოხილვა 02.00 მხ/ფ "მარიამი-შოტლანდიელთა დედოფალი"

08.00, 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 09.00, 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" 12.00 ტ/სერ. "გულის მუსიკა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 15.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ლოს ანჯელესის პოლიცია" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.45 ფეხბურთი – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი

06.30, 16.00 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ერთი სიყვარულის ამბავი" 11.20 სერ. "სიყვარულის ჟამი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 17.35 სერ. "პატარძალი" 18.50, 19.03 სერ. "ღირსების სახელით" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00 შენ შეგიძლია ცეკვა 00.00 მხ/ფ "პრადა და გრძნობები" 02.30 მხ/ფ "კამილა კლოდელი" 04.30 მხ/ფ "შინაური მტრები"

06.00 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 06.45 სერ. "გაბრიელა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერსერ. "წითელი და შავი" 15.55 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "ცხოვრების გზები" 18.50 სერ. "ოქროს გალია" 19.55, 20.05 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 20.50 ლოტო 21.00 კურიერი 22.00 არჩევანი - 2016 23.00 გააცინე და მოიგე 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "ფანბოი და ჩამჩამი" 9.00, 19.00 სერ. "დოქტორი ჰაუსი" 10.00, 18.00 სერ. "სკანდალი" 11.00 სერ. "კერძო პრაქტიკა" 13.00, 2.05 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 20.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.00 სერ. "ლურჯის ელფერები" 23.00 სერ. "მისტერ რობოტი" 0.00 მხ/ფ "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა"

06.10 დ/ფ "ზღვარი" 07.30 დ/ფ "ი. ნონეშვილი-გახსენება" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 პატერიკი-ბალავარის მიერ იოდასაფის დარიგება 10.40 არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია "წყალტუბო" 11.15 დ/ფ "ჰერეთი" I ნაწ. 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მოკ. მხ/ფ "ბაკურციხელი ხევსური" 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "დაღესტნური ჭედურობა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 ტელეზღაპარი "წითელქუდა" 15.40 დ/ფ "ჰერეთი" II ნაწ. 16.10 ქრისტიანული ხელოვნება "წინაქრისტიანული ხანის სამშენებლო ხელოვნება" 16.40 სიმღერის კვალდაკვალ "დიდგორი" 17.25 დ/ფ "შალვა ნუცუბიძე-დატყვევებული გონიერი" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "ელადის სიწმინდეებთან" 19.40 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.00 სიახლენი 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ჩვენი ფონდი "მანანა ტაბიძე-სახელ "გიორგის" ეტიმოლოგიის შესახებ" 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "კარმელიტა" 10.00 სერ. "ეკატერინა" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 1.00 სერ. "ორი გული" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "სიყვარულის იმპერია" 16.00 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50, 2.30 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "ვინ თუ არა მე" 21.55 სერ. "ბემი" 22.40 სერ. "ესკობარი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 ნოემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4889 |
| ევრო | 2.6420 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0900 |
| 100 რუსული რუბლი | 3.8221 |

## ამინდის პროგნოზი 22 ნოემბრისთვის




## 22 ნოემბრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

### ონორე დე ბალზაკი

### მამა გორიო




ონორე დე ბალზაკის „მამა გორიოს“ ზოგი „ადამიანურ კომედიას“, ზოგი კი „ადამიანურ ტრაგედიას” უწოდებს. მამა გორიო არ არის უბრალოდ მამა. ის არის მამა-მოწამე, რომელიც მოსწყდა თავის საქმეს, უარი თქვა ყოველგვარ პირადულზე და თავი საკუთარ ქალიშვილებს მიუძღვნა.

ბალზაკი ზოგჯერ დასცინის, ზოგჯერ ცრემლებს ღვრის გორიოს გამო. და მაინც, რა იყო მამა გორიოს მთავარი შეცდომა? ამ კითხვაზე პასუხი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თავად უნდა მოვძებნოთ.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## იუმორი...



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– საჭესთან ვისი გეშინია?

– ჯარისკაცი მძღოლის.

– კიდევ?

– მოტოციკლისტის.

– კიდევ?

– ნასვამის.

– ქალის არ გეშინია?

– ოოო, ქალი საჭესთან იგივეა, რაც მთვრალი ჯარისკაცი მოტოციკლით.

მამაკაცი მეგობრებს ეუბნება:

– ბიჭებო, ცოლმა სახლიდან გამომაგდო!

– რას ბოდავ, სადა გყავს ცოლი?

– მერე ვინ გითხრათ, რომ ჩემმა ცოლმა.

•••

ქალაქელი მეგობარს სოფელში რთველში ესტუმრება. შეხედავს, ვაზი ხეზეა ასული და გაოცებული მასპინძელს ეკითხება:

– კი მაგრამ, ამ ვაზს, როგორ სხლავთ?

– რათ უნდა, ბიძია, ადესას გასხვლა?

– როგორ ფურჩნით?

– რათ უნდა ადესას გაფურჩვნა?

– აბა, როგორ წამლით?

– ადესას შეწამვლა რათ უნდა.

– მა ღვინოს რა ნამუსით სვამთ...

•••

კაცი მოკვდა და სამოთხეში მოხვდა, თუმცა პატარ-პატარა ცოდვები ჰქონდა და მათ გამოსასყიდად პატარა საქმეები მისცეს. პირველ დღეს რაღაცების გარეცხვა დაავალეს და გარეცხა.

მეორე დღეს გათენდა და დალაგება დაავალეს. დაალაგა.

მესამე დღეს უთხრეს, რომ მოსახვეტიაო და მოხვეტა.

გათენდა მეოთხე დღე და დაუთოება დაავალეს. კაცი აუთოებს და ფიქრობს:

– ვერ გავიგე, მოვკვდი თუ გავთხოვდი?

•••

ბიჭებმა გადაწყვიტეს მძღოლის გაშაყირება და ერთ-ერთი ეუბნება:

– ძია კაცო, მანქანა მაინც ცარიელი გაქვს და ნაგავს ვერ გააყოლებ?

– რავი აბა, დაეყარენით...

•••

გოგო ბიჭს ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– მიყვარხარ!

– მართლა?

– ჰო... ჰო... შენც გიკვირს ხომ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 24 ნოემბრიდან

### პირველად ქართულ ენაზე!




### ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმაძღარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს.

ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

## რიკი მარტინმა ბოიფრენდს ხელი სთხოვა



მომღერალმა რიკი მარტინმა თავის ბოიფრენდზე, წარმოშობით ქურთ შვედ მხატვარ ჯოენ იზეფზე დანიშვნის თაობაზე გააკეთა განცხადება.

მომღერალმა განცხადება ელენ დედჟენერესის ტელეშოუში გააკეთა. როდესაც გადაცემის წამყვანმა მარტინს სთხოვა, უფრო დაწვრილებით მოეთხრო მის რჩეულზე, მან განმარტა, რომ გატაცებულია ხელოვნების ნაწარმოებების კოლექციით და ჯოენის იმ დროს შეხვდა, როდესაც ახალ ექსპონატებს ეძებდა. დროთა განმავლობაში საქმიანი ურთიერთობა პირადულში გადაიზარდა.

– ასე მოხვდა ის თქვენს კოლექციაში, – განაცხადა საკუთარ კომენტარში ტელეწამყვანმა.

მარტინმა აღიარა, რომ ძალიან ნერვიულობდა, როდესაც გადაწყვიტა, ჯოენისთვის ხელი ეთხოვა, მაგრამ მისი შიში არ გამართლდა: შეყვარებულმა თანხმობით უპასუხა.

## ჟოზე მოურინიო: „არსენალთან ფრე მძიმე დარტყმა იყო“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ არსენალთან შეხვედრაზე ისაუბრა, რომელიც ოლდ ტრაფორდზე ფრედ 1:1 დასრულდა.

მანჩესტერი მთელი მატჩის მანძილზე იგებდა, მაგრამ 89-ე წუთზე არსენალის ფორვარდმა ოლივიე ჟირუმ ანგარიში გაათანაბრა.

მოურინიოს თქმით, ეს მისი გუნდისთვის მძიმე დარტყმა იყო და მატჩის შემდეგ გასახდელში სრული სიჩუმე სუფევდა. ჟოზემ აღნიშნა, რომ მანჩესტერ იუნაიტედს წლევანდელ სეზონში ხშირად არ უმართლებს და ის უფრო მეტს იმსახურებს. მოურინიომ იმედი გამოთქვა, რომ მალე ყველაფერი შეიცვლება და მანჩესტერ იუნაიტედი თავის ჩვეულ პოზიციას დაუბრუნდება.

ამჟამად მანჩესტერელები სატურნირო ცხრილში მე-6 პოზიციას იკავებენ.

## ლონდონში ლეგოს უმსხვილესი მაღაზია გაიხსნა



ლონდონის უესტ-ენდის რაიონში, ლესტერ-სკვერის მოედანზე მსოფლიოში ყველაზე დიდი კონსტრუქტორების დანიური მწარმოებლის ლეგოს მაღაზია გაიხსნა.

აღსანიშნავია, რომ ეს ბრენდის უკვე 131-ე საცალო მაღაზიაა. ორსართულიან უნივერსამში დადგმულია ექვსი მეტრი სიმაღლის ბიგ-ბენის სახის კონსტრუქტორი, რომლის შესაქმნელად 200 ათასი დეტალის გამოყენება გახდა საჭირო და 2,2 ათასი საათი დასჭირდა. ასევე მაღაზიისთვის შექმნეს ნატურალური ზომის ლონდონის მეტროს ვაგონის ასლი, რომლის შექმნას 600 ათასი დეტალი დასჭირდა.

მაღაზიაში ასევე დგას ფოტო ჯიხური, სადაც 100 ფუნტად სურათის გადაღებაა შესაძლებელი და მის მიხედვით მოზაიკური ნაკრების მიღება. ასე რომ, მსურველს შეეძლება კონსტრუქტორით საკუთარი პორტრეტი შექმნას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი არაბიძე შახტარის პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს



ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი გიორგი არაბიძე შახტარის პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, მან ევროპის ლიგის შეხვედრაში მონაწილეობაც მიიღოს.

შახტარი საკუთარ მოედანზე თურქულ გუნდს, კონიასპორს ხვდება და ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით შახტარისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჯგუფურ ეტაპზე მან წინა 4 შეხვედრა მოიგო. ამის გამო, შესაძლოა, შახტარმა ამ შეხვედრაში შანსი ახალგაზრდებს, მათ შორის გიორგი არაბიძეს მისცეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი მწერალი, რომან „მადამ ბოვარის“ ავტორი; 2. აეროპორტი რიგაში; 3. მოვარდნილი წყალი; 4. ერეკლე მეორეს კარზე მოღვაწე ქართველი პოეტი, დიპლომატი; 5. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 8. ოქროს წონის საზომი ერთეული ძველად; 9. მდინარე აშშ-ში; 12. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 13. კიბერნეტიკის ნაწილი; 16. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 17. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 19. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 20. დაქირავებული კავალერი.

**თარაზულად:** 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 11. უნგრული ნაგაზი; 14. თბილისთან დამეგობრებული ქალაქი ინგლისში; 15. ფიჭური კავშირგაბმულობის ფრანგული კომპანია; 18. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. ამერიკული ავია-კომპანია კონცერნი; 22. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 23. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 24. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

